

algK 86583
2

8055000

8055000



ს ე ი ბ ნ ი ც ი

№ 402

მონადროობა

თარგმნა და შენიშვნები გაუყეთა

ს. ღ ა ნ ე ლ ი ა შ



სტალინის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

თბილისი

1940

მ. ი. ლენინი

კონსპექტი ფიქციების წიგნისა
„გადმოცემა, განვითარება და
კრიტიკა ლენინის ფილოსოფიისა“¹

ბერნე, 1914 წ.

¹ თარგმანი პ. იაშვილისა

ლ. ფეიერბახი, ლეიბნიცი

და სხვ.

ლეიბნიცის საუცხოო გადმოცემაში უნდა აღინიშნოს ზოგიერთი განსაკუთრებულად თვალსაჩინო ადგილები (ეს არაა ადვილი, ვინაიდან ყველაფერი — ე. ი. პირველი ნაწილი (§ 1—13) თვალსაჩინო რამაა), შემდეგ დამატებანი 1847 წ.

(ლეიბნიცი დაწერილია) § 20, § 21
(ფეიერბახის მიერ 1836) და ცალ-
(წელს, როცა იგი ჯერ) კეული
(კიდევ იდეალისტი იყო) ადგილები
1847 წ.

გვ. 27 — ლეიბნიცის განმასხვავებელი თვისება სპინოზასაგან: ლეიბნიცთან სუბსტანციის ცნებას ემატება ცნება ძალისა „და მასთან მომქმედი ძალისა“... თვითმოქმედების პრინციპი (29) —

Ergo¹ ლეიბნიცი თეოლოგიის გზით უახლოვდებოდა მატერიისა და მოძრაობის განუყოფელი (და უნივერსალური, აბსოლუტური) კავშირის პრინციპს. ასე, თითქოს, უნდა გავიგოთ ფეიერბახი?

¹ მაშასადამე, რედა.

გვ. 32: „სპინოზას არსი არის ერთიანობა, ლეიბნიცისა — განსხვავება, დისტინქცია“.

გვ. 34: სპინოზას ფილოსოფია — ტელესკოპია, ლეიბნიცისა — მიკროსკოპი.

„სპინოზას სამყარო არის ღვთაების უფერული მინა, გარემო, რომლიდანაც ჩვენ ვერაფერს ვხედავთ, გარდა ერთიანი სუბსტანციის შეუფერადებელი ციური სინათლისა; ლეიბნიცის სამყარო არის მრავალკუთხოვანი კრისტალი, ბრილიანტი, რომელიც თავისი თავისებური არსის წყალობით სუბსტანციის უბრალო სინათლეს საღებავთა უსასრულოდ სხვადასხვაგვარ სიმდიდრედ აქცევს და თანაც აბნელებს“. (Sic).

გვ. 40: „მაშასადამე, სხეულებრივი სუბსტანცია ლეიბნიცისათვის უკვე აღარ არის მარტო განფენილი, მკვდარი, გარედან მოძრაობაში მოსაყვანი მასა, როგორც დეკარტთან, არამედ როგორც სუბსტანციას მას აქვს თავისში მოქმედი ძალა, მუდამ მოუსვენარი პრინციპი მოქმედებისა“.

ამისათვის აფასებდა კიდევ, ალბათ, მარქსი ლეიბნიცს¹, მიუხედავად მისი, ლეიბნიცის, „ლასალიანური“ თვისებებისა და შემარიგებელი მისწრაფებებისა პოლიტიკასა და რელიგიაში.

¹ 1870 წ. 10 მაისს მარქსი სწერდა ენგელსს: „კუგელმანმა გამომიგზავნა მე დაბადების დღისათვის ორი ნაჭერი შპალერი

მონადა — ლეიბნიცის ფილოსოფიის პრინციპია. ინდივიდუალობა, მოძრაობა, სული (თავისებური სახისა), არა მკვდარი ატომები, არამედ ცოცხალი, მოძრავი, თავისში მთელ სამყაროს ამრეკლი მონადები, რომელთაც შესწევთ (ბუნდოვანი) უნარი წარმოდგენისა (თავისებური სახის სულეები), — აი „უკანასკნელი ელემენტები“ (გვ. 45).

თვითეული მონადა განსხვავდება მეორისაგან.

„...სრულიად საწინააღმდეგო იქნებოდა ბუნების სილამაზისა, წესრიგისა და გონებისადმი, რომ ცხოვრების ან შინაგან, საკუთარ მოქმედებათა პრინციპი დაკავშირებული ყოფილიყო მატერიის მხოლოდ მცირე ან განსაკუთრებულ ნაწილთან“ (ლეიბნიცი — გვ. 45).

„ამიტომ მთელი ბუნება სავსეა სულებით, როგორც ეს უკვე სწორად ჰქონდათ შეცნობილი ძველ ფილოსოფოსებს, ანდა სულთა ანალოგიური არსებანით. ვინაიდან მიკროსკოპის საშუალებით შევიცნობთ, რომ არსებობს ცოც-

NB

ლეიბნიცის სამუშაო ოთახიდან: მე ამან დიდად მასიამოვნა. გასულ ზამთარს ლეიბნიცის სახლი დანგრეულ იქნა და უგნურმა ჰანოვერელებმა ყველაფერი გადაყარეს (მათ შეეძლოთ გაეხსნათ ლონდონში რელიქვიათა მთელი მაღაზია). ეს ორი ნაჭერი გამოხატავს რაღაც მითოლოგიურს. ერთზე არის ნებტუნი თავის ტალღებზე, მეორეზე — ვენერა, ამური და ა. შ., ყოველივე ეს ლუი XIV ცუდი გემოვნებით. პირიქით, გამოიყოფა კეთილზარისხოვნება (საფუძვლიანობა) მაშინდელი დროის ხელით ნამუშევარისა შედარებით ახლანდელთან. მე ორივე ნივთი ჩემს სამუშაო ოთახში ჩამოვკიდე. შენ იცი, როგორ პატივს ვცემ ლეიბნიცს (you know my admiration for Leibniz)“ კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზ. ტ. XXIV, გვ. 3371—78. რ ე დ.

ხალ არსებათა უამრავი რაოდენობა, რომელნიც თვალისათვის უკვე შეუმჩნეველნი არიან, და არსებობს უფრო მეტი სულები, ვიდრე ქვიშის მარცვალი და ატომები“ (ლეიბნიცი—გვ. 45).

შეად. ელექტრონები!

მონადის თვისებები: წარმოდგენა, კვლავადღგენა წარმოსახვაში.

„თვით წარმოდგენა კი სხვა არაფერია, თუ არ კვლავადღგენა წარმოსახვაში (გახსენება და გამოსახულება) რთულისა ან გარეგნულისა, ე. ი. სიმრავლისა სიმარტივეში“... ანდა... „წარმავალი მდგომარეობა, რომელიც ერთიანობაში ან მარტივ სუბსტანციაში შეიცავს და აღადგენს მრავლობას“ (გვ. 49, ლეიბნიცი)—არეული (გვ. 50) (ბუნდოვანი გვ. 52) წარმოდგენა მონადისა—(ადამიანსაც ბევრი შეუგნებელი, არეული გრძნობები აქვსო და სხვ.).

თვითეული მონადა არის „სამყარო თავისთვის, თვითეული წარმოადგენს თვითკმარ ერთიანობას“ (ლეიბნიცი, გვ. 55).

„ბუნდოვან წარმოდგენათა ნარევი—აი რა არის გრძნობები, აი რა არის მატერია“ (ლეიბნიცი—გვ. 58)... „ამიტომ მატერია მონადათა კავშირია“ (იქვე)...

ჩემი თავისუფალი გადმოცემა:
 მონადები = თავისებური სახის
 სულები. ლეიბნიცი = იდეალის-
 ტი. მატერია კი მსგავსი რამაა.
 სულის სხვაყოფიერებისა ან
 ტლაპოსი, რომელიც აკავშირებს
 მათ ქვეყნიური ხორციელი კავ-
 შირით.

„აბსოლუტური რეალობა იმყოფება
 მხოლოდ მონადებში და მათს წარმოდ-
 გენებში“ (ლეიბნიცი, — გვ. 60). მატე-
 რია მხოლოდ ფენომენია.

„სიცხადე არის მხოლოდ სული (გვ.
 62)... მატერია კი ბუნდოვანობა და
 უთავისუფლობა“ (64).

სივრცე „თავისთავად იდეალური
 რამაა“ (ლეიბნიცი, გვ. 70—71).

„... მატერიალური პრინციპი მატე-
 რიის სხვადასხვაგვარობისა არის... მოძ-
 რაობა“... (72).

„ასევე ნაკლებად, წინააღმდეგ ნიუ-
 ტონისა და მისი მიმდევრების აზრისა, არ-
 სებობს მატერიალურ ბუნებაში ცარიელი
 სივრცე. ჰაერტუმბო სრულიადაც არ ამ-
 ტკიცებს სიცალიერის არსებობას, ვინაი-
 დან მინას აქვს სვრეტები, რომლებიდანაც
 ყოველგვარ ფაქიზ მატერიას შეუძლია
 შეიჭრას“ (76—77, ლეიბნიცი).

„მატერია არის ფენომენი“ (78,
 ლეიბნიცი).

„მონადის ყოფიერება თავისთვის
 არის მისი სული, მისი ყოფიერება
 სხვისთვის — მატერია“ (78, ფეიერ-
 ბახი).

ადამიანური სული—ცენტრალური,
უმაღლესი მონადა, ენტელეხია.

„ამიტომ ყოველ სხეულს ეხება ყვე-
ლაფერი, რაც სამყაროში ხდება“ (83,
ლეიბნიცი).

„მონადა წარმოადგენს მთელს სამ-
ყაროს“ (83, ლეიბნიცი).

„მონადას... აქვს თავისში, მიუხედა-
ვად თავისი განუყოფადობისა, რაული
მიდრეკილება, ე. ი. სიმრავლე წარმო-
დგენათა, რომელთაგანაც თვითეული
ისწრაფვის თავისი განსაკუთრებული
ცვლილებებისაკენ და რომელნიც, ყველა
სხვა ნივთებთან თავისი არსებითი კავ-
შირის ძალით, იმავე დროს მასში იმყო-
ფებიან“... „ინდივიდუალობა შეიცავს
თავისში უსასრულობას თითქოს ჩა-
ნასახში“ (ლეიბნიცი, 84).

NB

ლეიბნიცი ცხოვრობდა 1646-1716

აქ თავისებური სახის დიალექ-
ტიკაა და მეტად ღრმა, მიუხე-
დავად იდეალიზმისა და ხუცო-
ბისა.

„ყველაფერი ბუნებაში ანალოგიუ-
რია“ (ლეიბნიცი 86).

„საერთოდ ბუნებაში არ არსებობს
არაფერი აბსოლუტურად დისკრეტული;
ყველა წინააღმდეგობანი, ყველა ზღუ-
დენი სივრცისა და დროისა და აგრე-
თვე თავისებურებისა ჰქრებიან აბსო-
ლუტური უწყვეტობის წინაშე, სამყაროს

NB

უსამართლო კავშირის წინაშე“ (ფეიერბახი, 87).

„თუმცა მონადას, თავისი განსაკუთრებული ბუნების გამო, რომელიც მხოლოდ ნერვებისაგან და არა ხორცისა და სისხლისაგან შესდგება, ეხება და აღიზიანებს ყოველივე, რაც სამყაროში ხდება“... მაგრამ მაინც „იგი არ წარმოადგენს თანამოქმედ პიროვნებას, არამედ მხოლოდ მაყურებელია მსოფლიო დრამისა. და სწორედ ამაშია მონაღების მთავარი ნაკლი“ (ფეიერბახი, 90).

სულისა და სხეულის თანხმობა— ჰარმონიაა, ღმერთისაგან დაწესებული.

„ლეიბნიცის სუსტი მხარე“
(ფეიერბახი, 95).

„სული—თავისებური სახის სულიერი ავტომატია“ (ლეიბნიცი, 98) (თვითონ ლეიბნიციც ამბობს ერთხელ, რომ მის ფილოსოფიაზე ადვილია გადასვლა ოკაზიონალიზმიდან, ფეიერბახი, 100). მაგრამ ლეიბნიცს ეს გამოჰყავს „სულის ბუნებიდან“... (101).

„თეოდიცეაში“ (§ 17) ლეიბნიცი იმეორებს არსებითად ონტოლოგიურ საბუთს ღმერთის ყოფიერების სასარგებლოდ.

ლეიბნიცი აკრიტიკებდა ლოკის ემპირიზმს თავის ნაწარმოებში „ასალი

¹ ეს ფრაზა ხელნაწერში შეერთებულია ისრით ქვემოდგენილ შემოხაზულ აბზაცთან. რედ.

ცდები შეგნების შესახებ“—ამბობს რა ინტელექტში არ არის არაფერი etc. გარდა თვით ინტელექტისაო (!) (152).

(ფეიერბახიც პირველ გამოცემაში ასევე იდეალისტურად აკრიტიკებს ლოკს).

„ა უცილებელ ჭეშმარიტებათა“ პრინციპი ძვეს „ჩვენში“ (ლეიბნიცი, 148).

შეად. აგრეთვე კანტი

ჩვენში ძვეს სუბსტანციის იდეები, ცვლილებანი და სხვ. (ლეიბნიცი, 150).

„გონების შემწეობით მივიღოთ საუკეთესოსკენ მიმართული განსაზღვრა—აი თავისუფლების უალრესი ხარისხი“ (154, ლეიბნიცი).

ლეიბნიცის ფილოსოფია არის იდეალიზმი (ფეიერბახი, 160) და სხვ. და სხვ.

... „ლეიბნიცის მონადოლოგიის ხალისიანი, სიცოცხლით სავესე პოლითეიზმი გადავიდა „ტრანსცენდენტალური იდეალიზმის“ მკაცრ, მაგრამ ამის გამო უფრო მეტად სულიერ და ინტენსიურ მონოთეიზმში“ (ფეიერბახი, 188).

[გვ. 188 — 220; დამატება 1847 წლისა].

გვ. 188; „იდეალისტური, აპრიორული ფილოსოფია“...

„მაგრამ, რასაკვირველია, ის, რაც ადამიანისათვის აპოსტერიორულია, ფილოსოფიისათვის — აპრიორ-

გადასვლა
კანტზე

რ უ ლ ი ა; ეინაიდან რაკი ადამიანმა ერთხელ შეაგროვა გამოცდილებანი და გააერთიანა ისინი ზოგად ცნებებში, რა თქმა უნდა, მას შეუძლია გამოსთქვას „სინთეზური მსჯელობანი a priori“. ამიტომ ის, რაც უფრო ადრინდელი დროისათვის გამოცდილების საქმე იყო, უფრო მერმინდელი დროისათვის იგი გონების საქმედ იქცევა... ასე, მაგალითად, ელექტრობაც და მაგნეტიზმიც უწინ იყო მხოლოდ ემპირიული, ეს ნიშნავს აქ — შემთხვევითი, მხოლოდ ცალკეულ სხეულებში აღქმული თვისებანი. მაგრამ ახლა, უამრავ დაკვირვებათა წყალობით, ისინი შეცნობილი არიან როგორც თვისებანი ყველა სხეულისა, როგორც არსებითი თვისებანი სხეულისა საერთოდ... ამრიგად, მხოლოდ კაცობრიობის ისტორიას ის თვალსაზრისი, რომელიც დადებით პასუხს იძლევა კითხვაზე იდეათა წარმოშობის შესახებ“... (191—192).

სული არაა ცვილი, არაა წმინდა დაფა... პირიქით, წარმოდგენის წარმოსაშობად უნდა აუცილებლად თანდაერთოს რაიმე განსხვავებული საგნისაგან და ამიტომ ჭეშმარიტი სისულელე იქნებოდა, თუ მე მოვისურვებდი ეს განსხვავებული, წარმოდგენის საკუთარი არსის ეს დამამყარებელი, საგნიდან გამომეყვანა. მაგრამ რაღა არის ეს? ფორმა საყოველთაობისა; თვით ინდივიდუალური იდეა ან წარმოდგენა — ყოველ შემთხვევაში ნამდვილ ინდივიდუალურ სა-

- განთან შედარებით — თავდაპირველად, როგორც ლეიბნიცი შენიშნავს, საყოველთაოა, ე. ი. ამ შემთხვევაში განუსაზღვრელი, განსხვავებათა წამშლელი, გამანადგურებელი. გრძნობადობა მასიური, არაკრიტიკული, მდიდრული, მაშინ როცა იდეა, წარმოდგენა შემოიფარგლება საყოველთაოთი და აუცილებელით“ (192).

ლეიბნიცი
და კანტი

აუცილებლობა განუყოფელია საყოველთაოსაგან

NB

კანტიანობა =
ძველი
ხარახურა

ამრიგად, ძირითადი აზრი წიგნისა „ახალი ცდები ადამიანის შეგნების შესახებ“ მსგავსად „წმინდა გონების კრიტიკისა“, უკვე ისაა, რომ საყოველთაობა და მისკან განუყოფელი აუცილებლობა გამოხატავენ განსჯის ან წარმომდგენელი არსების საკუთარ არსს. მაშასადამე, მათ არ შეუძლიათ გამომდინარეობდნენ გრძნობებიდან, ცდიდან, ე. ი. არ შეუძლიათ გარედან მოსვლა“... (193).

ეს იდეა უკვე კარტეზიანელებს აქვთ — ფეიერბახს მოჰყავს კლაუზბერგი 1652 წ.

„უეჭველია, ეს აქსიომა (რომ მთელი მეტია ნაწილზე) თავის უტყუარობას უნდა უმადლოდეს. არა ინდუქციას, არამედ განსჯას, ვინაიდან განსჯას საერთოდ სხვა მიზანი და სხვა მოწოდება არა აქვს, გარდა გრძნობათა მონაცემების განზოგადებისა, რათა გაგვანთავისუფლოს ჩვენ განმეორების მოსაწყენი შრომისაგან, რათა ანტიციპაცია უყოს, შესცვალოს, დაზოგოს გრძნობადი. ცდა და გრძნობადი ქვრეტა. მაგრამ განა განსჯა

ას საკუთარი რისკით ჩადის, ისე რომ ამისათვის რაიმე საფუძველი გრძნობაში არ არსებობს? განა ესა თუ ის ცალკეული შემთხვევა, რომელსაც მე გრძნობა მიჩვენებს, ცალკეული შემთხვევაა აბსტრაქციაში? განა ის თვისობრივად გარკვეული შემთხვევა არ არის? მაგრამ განა ამ თვისობრიობაში არ არის თვით გრძნობით აღქმული იგივეობა ცალკეული შემთხვევებისა?... განა გრძნობა მე მხოლოდ ფოთლებს მიჩვენებს და არა აგრეთვე ხეებსაც?... განა არ არსებობს გრძნობა იგივეობისა, ერთნაირობისა და განსხვავებულისა? განა ჩემი გრძნობისათვის არ არსებობს განსხვავება შავსა და თეთრს შორის, დღესა და ღამეს შორის, ხესა და რკინას შორის?... განა გრძნობადი აღქმა აუცილებელი დადასტურება არაა იმისა, რაც არსებობს?... განა, მაშასადამე, აზროვნების უმაღლესი კანონი, იგივეობის კანონი, იმავე დროს გრძნობადობის კანონი არაა? დიახ, განა აზროვნების ეს კანონი გრძნობადი ჭვრეტის ჭეშმარიტებას არ ემყარება?! (193—194).

ლეიბნიცი „ახალ ცდებში“: „ერთობა მდგომარეობს ერთმანეთს შორის ერთეულადი საგნების მსგავსებაში და ეს მსგავსება რეალობაა“ (წიგი III, თავი 3, § 11). „მაგრამ განა ეს მსგავსება გრძნობადი ჭეშმარიტება არ არის? განა არსებანი, რომლებსაც გონება ერთ კლასს, ერთ გვარს აკუთვნებს, აგრეთვე ერთნაირად არ აღიზიანებენ ჩემს გრძნობას?... განა

NB

ჩემი სქესობრივი გრძნობისათვის — გრძნობისათვის, რომელიც თეორიულადაც უდიდესი მნიშვნელობისაა, თუმცა იგი გრძნობათა შესახებ მოძღვრებაში ჩვეულებრივად ყურადღების გარეშე რჩება — არ არსებობს. არაერთარი განსხვავება ქალსა და ცხოველურ დედალს შორის? მაშასადამე, რაში მდგომარეობს განსხვავება განსჯასა და გრძნობას ან შეგრძნობის უნარს შორის? გრძნობა იძლევა საგანს, განსჯა კი აძლევს მას სახელწოდებას. განსჯაში არ არის ის, რაც გრძნობაში არ იყოს, მაგრამ, რაც გრძნობაში ფაქტიურადაა, ის განსჯაში მხოლოდ სახელწოდებითაა. განსჯა არის უმაღლესი არსება, სამყაროს მმართველი; მაგრამ მხოლოდ სახელწოდებით და არა ფაქტიურად. მაგრამ რა არის სახელწოდება? განმასხვავებელი ნიშანი, მკვეთრად შესამჩნევი ნიშანი, რომელსაც მე ვხდი საგნის დამახასიათებლად, წარმომადგენლად, რათა ამით იგი მის მთლიანობაში წარმოვიდგინო (195).

კარგადაა
ნათქვამი

NB

კარგადაა
ნათქვამი

... გრძნობა, სწორედ ისევე როგორც განსჯა, მეუბნება მე, რომ მთელი უფრო დიდია, ვიდრე ნაწილი; მაგრამ იგი ამას სიტყვებით კი არ მეუბნება, არამედ მაგალითებით, მაგალითად იმით, რომ თითი უფრო პატარაა, ვიდრე ხელი... (196—197).

... „ამიტომ იმის რწმენა, რომ მთელი უფრო დიდია ნაწილზე, დამოკიდებულია, რა თქმა უნდა, არა გრძნობა-

ზე. მაშ რაზე? სიტყვაზე: მთელი. დებუ-
ლება: მთელი უფრო დიდია ნაწილზე—
იმაზე მეტს არაფერს გვეუბნება, რასაც
სიტყვა: მთელი ლაპარაკობს თავისთა-
ვად... (197).

...„პირიქით, ლეიბნიცი, როგორც
იდეალისტი ან სპირიტუალისტი, საშუა-
ლებას აქცევს მიზნად, გრძნობადობის
უარყოფას—სულის არსად... (198).

...„ის, რაც თავის თავს შეიცნობს,
არსებობს, არის და ეწოდება სული. მა-
შასადამე, ჩვენ ვრწმუნდებით ჩვენი სუ-
ლის არსებობაში უფრო ადრე, ვიდრე
ჩვენი სხეულის არსებობაში. უეჭველია,
რომ ცნობიერება პირველადია; მაგრამ
იგი პირველადია მხოლოდ ჩემთვის და
არა თავისთავად. ჩემი ცნობიერებისა-
თვის მე ვარსებობ, იმიტომ რომ მე
შევიცნობ ჩემ თავს; მაგრამ სი-
ცოცხლის თვალსაზრისით მე შევიც-
ნობ ჩემს თავს, იმიტომ რომ მე
ვარსებობ. რომელია მათგან მარ-
თალი? სხეული, ე. ი. ბუნება, თუ
ცნობიერება, ე. ი. მე? რა თქმა უნდა,
მე, ვინაიდან როგორ უნდა ჩამეთვალა
ჩემი თავი უმართებულოდ? მაგრამ შე-
მიძლია თუ არა მე მართლაც გამოვჰყო-
ცნობიერება ჩემი სხეულიდან და ვიაზ-
როვნო თავისთავად?... (201).

...„სამყარო არის გრძნობათა საგა-
ნი და აზროვნების საგანი (204).

„გრძნობად საგანში ადამიანი განა-
სხვავებს არსს, როგორც ის სინამდვი-
ლეშია, როგორც ის გრძნობათა საგა-

ნია, იმისაგან, რაც მასში გრძნობები-
დან აბსტრაგირებულ აზრობრივ არსს
წარმოადგენს. პირველს იგი უწოდებს
არსებობას ანუ აგრეთვე ინდივი-
დუუმს, მეორეს—არსს ანუ გვარს.
არსს იგი განსაზღვრავს როგორც აუ-
ცილებელს და მარადიულს— ვინაიდან
იმ შემთხვევაშიც კი, თუ ესა თუ ის
გრძნობადი არსება გრძნობადი სამყა-
როდან გამქრალია, იგი მაინც კიდევ
რჩება გააზრებული ან წარმოდგენილი
არსების სახით — არსებობას კი — რო-
გორც შემთხვევითს და წარმავალს...
(205).

NB

... ლეიბნიცი ნახევრად ქრის-
ტიანია, იგი თეისტია ან ქრისტიანი და
ნატურალისტი. ღმერთის სიკეთესა და
ძალას იგი შემოსაზღვრავს სიბრძნით,
განსჯით. მაგრამ ეს განსჯა სხვა არა-
ფერია, თუ არ ბუნებრივ-მეცნიერული
კაბინეტი, მხოლოდ წარმოდგენა ბუნე-
ბის, მთლიანი სამყაროს კავშირზე. მა-
შასადადგე, იგი შემოსაზღვრავს თავის
თეიზმს ნატურალიზმით; იგი ადას-
ტურებს, იგი იცავს თეიზმს იმით, რაც
თეიზმს ხსნის... (215).

გვ. 274 (1847 დამატებიდან):

როგორ ბევრი ითქვა გრძნობათა
სიცრუეზე, როგორ ცოტა—ენის სი-
რუეზე, რომლიდანაც ხომ აზროვნება
მოუცილებადია! და ნიუხედავაჲ ამისა,
როგორ უხეშია გრძნობათა მცდარობა,
როგორ უნოიანია ენის მცდარობა! რო-
გორ დიდხანს მატყუებდა მე გონების

საყოველთაობა, ფიხტეანური და ჰეგელიანური მე-ს საყოველთაობა, სანამ, დაბოლოს, გრძნობათა ჩემი სუთი ორგანოს შემწეობით არ შევიცანი ჩემი სულის სახსნელად, რომ ლოგოსის ან გონების ყველა სიძნელენი და საიდუმლოებანი თავის გადაჭრას პოულობენ სიტყვის მნიშვნელობაში! ამიტომაც ჰაიმსის სიტყვები: „გონების კრიტიკა უნდა იქცეს ენის კრიტიკად“ თეორიული მხრივ ჩემთვის ესეოდენ ახლობელი.— მაგრამ რაც შეეხება წინააღმდეგობას, ჩემსა, როგორც შემგრძობელსა და პიროვნულ არსებასა და ჩემს, როგორც მიაზროვნე არსებას შორის, იგი ამ შენიშვნისა და (თვით ფეიერბახის) ციტირებული დისერტაციის აზრით დაყვანილია მკაცრ წინააღმდეგობამდე: შეგრძნებაში მე წარმოვადგენ ერთეულად, აზროვნებაში — საყოველთაოს. მაგრამ შეგრძნებაში მე არა ნაკლებად საყოველთაო ვარ, ვიდრე აზროვნებაში ერთეულადი. შეთანხმებულობა აზროვნებაში ემყარება მხოლოდ შეთანხმებულობას შეგრძნებაში“ (274).

...„ყოველი საზოგადოებრივი ცხოვრება ემყარება ადამიანთა შეგრძნების ერთიანობის წაჩაქვარს“ (274).

სპინოზა და ჰერბარტი (1836). გვ. 400 და შემდ.

სპინოზას და ცვა „მორალისტ“ ჰერბარტის უგვანო თავდასხმისაგან. ხაზგასმული ობიექტივიზმი სპინოზასი etc. NB.

დამოკიდებულება ჰეგელისადმი (1840
და შემდგომ) გვ. 417 და შემდეგი.

არა ძალიან ნათლად, ნაწყვეტ-
ნაწყვეტადაა ხაზგასმული, რომ
ჰეგელის მოწაფე იყო.

შენიშვნებიდან:

„რას წარმოადგენს დიალექტიკა, რომელიც წინააღმდეგობაში იმყოფება ბუნებრივ წარმოშობასა და განვითარებასთან? რა ფასი აქვს მის „აუცილებლობას“?... (431).

ბატონი ფონ შელინგი. (1843)
წერილი კარლ მარქსისადმი (434 და შემდ.). შავის მიხედვით. შელინგის განადგურება.

IV ტომის დასასრული

მონადად ოღოზი¹

1. მონადა, რომლის შესახებ გვეჩვენება აქ ბაასი, არის მარტივი სუბსტანცია, რომელიც შედის რთულს სუბსტანციებში: მარტივია ის, რასაც ნაწილები არ აქვს. (Théod., § 10).

2. უნდა არსებობდეს მარტივი სუბსტანციები, რადგანაც არსებობენ რთულები: ვინაიდან რთული არაფერია სხვა, თუ არა მარტივების გროვა ან აგვრევატი.

3. მაგრამ, სადაც არ არის ნაწილები, იქ არ არის არც განფენილობა (étendue), არც მოყვანილობა, და გაყოფაც იქ შეუძლებელია. ეს მონადები არიან ბუნების ნამდვილი ატომები, ერთი სიტყვით—საგნების ელემენტები.

4. აქ დაშლა სრულიად არ არის საშიში, და მიუწვდომელია ისეთი წესი, რომლითაც მარტივ სუბსტანციას შეეძლო დაღუპულიყო ბუნებრივად (§ 80).

5. იმავე საბუთის ძალით არ არსებობს ისეთი წესი, რომლითაც მარტივ სუბსტანციას შეეძლო დაწყებულიყო ბუნებრივად, ვინაიდან ის ვერ გაჩნდებოდა შედგენის (composition) საშუალებით.

6. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ მონადებისათვის შესაძლებელია გაჩენა და დაღუპვა მხოლოდ უცბად, ერთი დაკვრით (tout d'un coup), ე. ი. მონადებს შეეძლოთ ყოფნის დაწყება მხოლოდ შექმნის საშუალებით და ყოფნის შეწყვეტა მხოლოდ არარაობად ქცევის

¹ თარგმანი გაკეთებულია იმ ტექსტიდან, რომელიც მოცემულია კრებულში „Oeuvres philosophiques de Leibniz“, par Paul Janet, Paris, 1900.

(annihilation) საშუალებით; ნაცვლად ამისა ის, რაც რთულია, იწყებს და შესწყვეტს ყოფნას ნაწილ-ნაწილად.

7. არ არსებობს საშუალება, აგრეთვე იმის ასახსნელად, როგორ შეუძლია მონადას სხვა რომელღმე ქმნილების გავლენით გადასხვაფერდეს ან შეიცვალოს თავის შინაგან არსებაში, ვინაიდან მონადაში არაფერი არ გადაიტანება: არ განიაზრება მასში რაიმე შინაგანი მოძრაობაც, რომელიც შეიძლებოდა აღძრული, წარმართული, გადიდებული და შემცირებული ყოფილიყო შიგნით, როგორც შესაძლებელია ეს მოხდეს რთულს სუბსტანციებში, სადაც არის ცვლილება ნაწილთა შორის მიმართებაში. მონადებს სრულიად არ აქვს ფანჯრები, რომელთა საშუალებით რომელსამე საგანს შეუძლია შევიდეს იქ ან გავიდეს იქიდან. აკციდენციებს არ შეუძლიათ მოსწყდნენ სუბსტანციებს და ისეირნონ სუბსტანციებს გარეშე, როგორც ჩადიოდნენ ამას ოდესღაც სქოლასტიკოსების გრძნობისეული სახეები (les especes sensibles). ამრიგად არც სუბსტანციას, არც აკციდენციას არ შეუძლიათ გარედან შემოვიდნენ მონადაში.

8. ამასობაში აუცილებელია, რომ მონადებს ჰქონდეთ რაიმე თვისებები. სხვანაირად ისინი არსებანიც კი არ იქნებოდნენ. თუ თავისი თვისებებით მარტივი სუბსტანციები არ იქნებოდნენ ერთმანეთისაგან განსხვავებული, არ იქნებოდა არავითარი საშუალება შეგვემჩინა რაიმე ცვლილება საგნებში, ვინაიდან იმას, რაც არის რთულში, შეუძლია გაჩნდეს მხოლოდ მარტივი შემადგენელი ნაწილებისაგან, თვისებებს (როგორობას) მოკლებული მონადები კი განუსხვავებელბ იქნებოდნენ ერთმანეთისაგან, ვინაიდან ისინი მით უმეტეს არ იქნებოდნენ ერთმანეთისაგან რაოდენობის მიხედვით განსხვავებული. მაშასადამე, თუ დაშვებულია სავსე, თითოეული ადგილი მიიღებდა მოძრაობის დროს ყოველთვის იმის ექვივალენტს, რაც მას უწინ ჰქონდა, და საგანთა მდგომარე-

ობანი იქნებოდნენ ერთმანეთისაგან განუჩივრებელი (indiscernable).

9. აუცილებელია ჩსიც კი, რომ თვითეული მონადა იყოს მეორისაგან განსხვავებული, ვინაიდან ბუნებაში არასოდეს არ არის ორი არსება, რომელთა შორის ერთი სრულიად ისეთი იყოს, როგორც მეორე, და შეუძლებელი იყოს იქ შინაგანი განსხვავების ან შინაგან მნიშვნელზე დაფუძნებულ განსხვავების პოვნა.

10. მე დაშვებულად მიმაჩნია აგრეთვე ის, რომ ყოველი შექმნილი არსება, მაშასადამე შექმნილი მონადაც, ექვემდებარება (est sujet) ცვლილებას; და ჩსიც კი მიმაჩნია დაშვებულად, რომ ეს ცვლილება თვითვე შექმნილ არსებაში არის უწყვეტი (continuel).

11. იქიდან, რაც სულ ეხლა ითქვა, გამომდინარეობს, რომ მონადების ბუნებრივი ცვლილებანი ჩნდებიან შინაგანი საწყისისაგან, ვინაიდან გარეგნული მიზეზი ვერ მოახდენდა გავლენას მონადის შიგნით.

12. მაგრამ აუცილებელია აგრეთვე, რომ ცვლილების საწყისის გარდა იყოს ცვალებადის კერძობა (détail de qui change), რომელიც გამოიწვევდა მარტივ სუბსტანციების, ასე ვთქვათ, სპეციფიკაციას ან სხვადასხვაობას.

13. ამ კერძობამ უნდა მრავლობა ერთობაში ან მარტივში მოიცვას, ვინაიდან ზოგი რამ იცვლება და ზოგი რამ რჩება, რადგანაც ყოველი ბუნებრივი ცვლილება ხდება საფეხურებრივ (თან და თან, par degrés) და, მაშასადამე, აუცილებელია, რომ მარტივს სუბსტანციაში იყოს მდგომარეობათა (affection) და მიმართებათა მრავლობა, თუმცა მას არ აქვს სრულიად ნაწილები.

14. ის წარმავალი მდგომარეობა, რომელიც მოიცავს და წარმოადგენს მრავლობას ერთობაში ან მარტივს სუბსტანციაში, არაფერია სხვა, თუ არა ის, რასაც უწოდებენ პერცეპციას (perception), რომელიც უნდა

გარჩეულ იქნეს აპერცეპციისაგან (aperception) ან თანაცნობისაგან (conscience) ¹, როგორც ეს აღმოჩნდება შემდეგში. და სწორედ აქ იყო კარტეზიანელთა დიდი ნაკლი, ვინაიდან ისინი არარაობად სთვლიდნენ პერცეპციებს, რომლებიც არ შეიქმნევიან. ეს იყო აგრეთვე ის მიზეზი, რომელმაც აფიქრებინა მათ, რომ მხოლოდ

¹ ქართულს ფილოსოფიურ ლიტერატურაში ფრანგული conscience, რომელიც შეეფერება ლათინურს conscientia, ბერძნულს *συνείδησις* და რუსულს сознание. გადმოიცემა ხშირად „ცნობიერება“-სიტყვით. ამ სიტყვის ეტიმოლოგიური სტრუქტურა, რომელიც გერმანული Bewusstsein-ის გაღვინის ნიშანს ატარებს, ცხად ჰყოფს, რომ ის არ გადმოგვცემს იმ აზრს, რომელიც დაფარულია conscience-სიტყვაში: „ცნობიერება“ ნიშნავს „ცნობიერის თვისებას“, ხოლო „ცნობიერი“ შეიძლება ნიშნავდეს „ცნობის მქონეს“, ისე როგორც, მაგალითად, „სულიერი“ ნიშნავს „სულის მქონეს“ (ესეც—უკეთეს შემთხვევაში, ვინაიდან „ცნობიერი“ შეიძლება ნიშნავდეს ცნობის საგანსაც: ქვას, რომლის შესახებ არსებობს ცნობა, ქართული ენის ბუნებისამებრ უნდა ეწოდოს „ცნობიერი“, რადგან ის ცნობით არის მოცული, ცნობის არეში შედის, ცნობას ეკუთვნის,—ისე როგორც, მაგალითად, ცხოველს, რომელიც მიწაზე დადის, ეწოდება „მიწიერი“, ვარსკვლავს, რომელიც ციდან ანათებს, ეწოდება „ზეციერი“, თუმცა ეს ცხოველი და ვარსკვლავი მიწისა და ზეცის პატრონები კი არ არიან, არამედ თვითონ ეკუთვნიან მათ). ამრიგად, სიტყვა „ცნობიერება“, თავისი ეტიმოლოგიური სტრუქტურის მიხედვით, უკეთეს შემთხვევაში შეიძლება ნიშნავდეს „ცნობის ქონებას“. მაგრამ „conscience“ (*συνείδησις*) ნიშნავს არა „ცნობის ქონებას“, არამედ ცნობის შესახებ ცნობის ქონებას ან ცნობის ცნობას. სწორედ ეს აზრია დაჭერილი ჩვენს ნეოლოგიზმში „თანაცნობა“, რომელიც აშენებულია ქართული „თანაგრძნობა“ სიტყვის ანალოგიით. „თანაგრძნობა“ ნიშნავს „გრძნობას გრძნობის მიმართ“. ამის მსგავსად „თანაცნობა“ ნიშნავს ცნობას ცნობის მიმართ ან ცნობას ცნობის შესახებ, ე. ი. სწორედ იმას; რასაც ნიშნავენ conscience და *συνείδησις*. ქართულ ენას მოეპოვება სიტყვა „შეგნება“, რომელიც „ცნობიერება“-ზე უკეთესად შეეფერება „conscience“ სიტყვას: „შეგნება“ არის „გონების“ ფუნქცია, ხოლო „გონება“ უდრის ბერძნულს „νοῦς“, გერმანულს „Vernunft“ და ფრანგულს „esprit“, რომლის ფუნქციას შეადგენს სწორედ „conscience“, მაგრამ „შეგნება“-სიტყვა არ აქცევს მაინც ზედმეტად ტერმინს „თანაცნობა“, თუნდაც იმიტომ რომ „გონების“ ზუსტი მნიშვნელობა არ არის ჩვენში შეთვისებული (შენ. მთარგმნ.)

გონიერი სულები (esprits) არიან მონადები და არ არსებობენ სრულიად პირუტყვთა სულები (âmes) ან სხვა ენტელეხიები; ამის გამო აგრეთვე ვერ გააჩინებინათ, ბრბოს კვალად, ხანგრძლივი უგრძობელობა (étourdissement) სიკვდილისაგან, ამ სიტყვის სასტიკი მნიშვნელობით. ამან კი ჩააგდო ისინი სქოლასტიკურ შეცდომაში და წამოაყენებინა დებულება, რომ სხეულები სრულიად განცალკევებული არიან, და ხელი შეუწყო ცუდად მიმართულ აზროვნების პატრონებს განმტკიცებულებების იმ შეხედულებაში, თითქო სულები კვდებიან.

15. შინაგანი საწყისის ქმედებას, რომელიც იწვევს ცვლილებას ან ერთი პერცეპციიდან მეორეში გადასვლას, შეიძლება ეწოდოს სწრაფვა (appétition); მართალია, სწრაფვა ყოველთვის ვერ აღწევს მთელს იმ პერცეპციას, სრულად, რომლისაკენაც მიმართულია. მაგრამ ის მაინც იღებს მისგან რამეს და აღწევს ახალს პერცეპციებს.

16. ჩვენ თვითონ განვიცდით ჩვენში სიმრავლეს მარტივ სუბსტანციაში, როდესაც ჩვენ ვპოულობთ, რომ უუმცირესი აზრი, რომლის შენიშვნაც კი შეგვიძლია, მოიცავს სხვადასხვაობას ობიექტში. ამრიგად ყველა, ვინც სცნობს, რომ სული არის მარტივი სუბსტანცია, ვალდებული არის სცნოს ეს სიმრავლე მონადაში, და ბ. ბეილს სრულიად არ უნდა დაენახა აქ სიძნელე, როგორც მოიქცა ის თავის ლექსიკონში Rorarius—სიტყვის განმარტებისას.

17. გარდა ამისა ვალდებული ვართ ვაღიაროთ, რომ პერცეპცია და ის, რაც მისგან არის დამოკიდებული, აუხსნელია მექანიკური საბუთებით, ე. ი. ფიგურებისა და მოძრაობის საშუალებით. და თუ ჩვენ წარმოვისახავთ ისეთ მანქანას, რომლის შენობა იწვევს აზროვნობას, გრძობას, პერცეპციათა ქონებას, ჩვენ შეგვეძლო წარმოგვედგინა, რომ ეს მანქანა იმავე პროპორციის შენარჩუნებით გაედიდებიათ ისე, რომ შესაძლებელი გამხდარიყო შიგ შესვლა, როგორც წისქვილში. ეს რომ დაშვებული იქნეს, ჩვენ, როდესაც შევიდოდით ასეთს მან-

ქანაში, ვიპოვნიდით შიგ მხოლოდ მანქანის ნაწილებს, რომლებიც ერთმეორეს ბიძგს აძლევენ, და ვერასოდეს ვერ ვიპოვნიდით იმას, რითაც შეიძლებოდა პერცეპცია აგვეხსნა. ამრიგად პერცეპცია მარტივს სუბსტანციაში და არა რთულს სუბსტანციაში ან მანქანაში არის საძიებელი. მარტივ სუბსტანციაში კი შეიძლება ვიპოვოთ მხოლოდ ეს, ე. ი. პერცეპციები და მათი ცვლილებები. სწორედ ამაში მხოლოდ შეიძლება აგრეთვე შედგებოდეს მარტივი სუბსტანციების ყველა შინაგანი მოქმედებები.

18. შეიძლებოდა ყველა შექმნილ მარტივ სუბსტანციებისათვის ან შექმნილ მონადებისათვის მიგვეცა ენტელეხიების სახელი, ვინაიდან მათ აქვთ ერთგვარი სისრულე (ἐχουσι τὸ ἐντελέχεια), არის მათში რაღაც დამოუკიდებლობა (αὐταρχεία), რომელიც აქცევს მათ თავის შინაგან მოქმედებათა წყაროებად და, ასე ვსთქვათ, უსხეულო ავტომატებად.

19. თუ ჩვენ ვუწოდებთ სულის სახელს ყველაფერს, რასაც აქვს პერცეპციები და მისწრაფებები იმ ზოგადი მნიშვნელობით, რომელიც მე ეხლახან ავხსენი, მაშინ ყველა მარტივ სუბსტანციებს ან შექმნილ მონადებს შეეძლოთ სულის სახელწოდება მიეღოთ. მაგრამ, თამდენადაც გრძნობა არის რაღაც მეტი, ვიდრე უბრალო პერცეპცია, მე იმ შეხედულებისა ვარ, რომ მონადებისა და ენტელეხიების ზოგადი სახელი საკმარისია იმ მარტივ სუბსტანციებისათვის, რომელთაც მხოლოდ ეს უბრალო პერცეპცია ექნებათ, და რომ სული ეწოდოს მხოლოდ იმას, რომელთა პერცეპციას მეტი გარკვეულობა (distincte) აქვს და თან მეხსიერება ახლავს.

20. ზოგჯერ ჩვენ განვიცდით საკუთარ თავში ისეთს მდგომარეობას, რომლის დროს ჩვენ არაფერი არ გვახსოვს და არ გვაქვს არავითარი გარკვეული პერცეპცია, როგორც ხდება ეს მაშინ, როდესაც ჩვენ გული წავგვივიდა (tombons en défailance), ან როდესაც ჩვენ ღრმა და უსიზმრო ძილში ვიძყოფებით. ამ მდგომარეობაში

სული სრულიად არ განირჩევა საგრძნობლად უბრალო მონადისაგან; მაგრამ, რადგანაც ასეთი მდგომარეობა არ არის სრულიად ხანგრძლივი და სულიც აღწევს მას თავს, ამიტომ სული არის რაღაც უფრო მეტი (ვიდრე უბრალო მონადა).

21. და სრულიად არ გამომდინარეობს აქედან, რომ მარტივი სუბსტანცია იყოს მოკლებული ყოველს პერცეპციას. ეს არც კი შეიძლება იყოს მოყვანილ საბუთების ძალით: მას ხომ არ შეუძლია მოისპოს, არსებობა კი მას არ შეუძლია გარეშე ამა თუ იმ მდგომარეობისა (affection), რომელიც სხვა არაფერია თუ არა მისი პერცეპცია; მაგრამ, როდესაც კაცს აქვს დიდი რიცხვი მცირე პერცეპციებისა, რომელთა შორის არც ერთი არ არის გარჩეული (distingué), მაშინ ის გაბრუებულია. მაგალითად, როდესაც ერთი და იგივე მიმართულებით ნოვტრიალებით შეუწყვეტილ რამდენიმეჯერ ზედინზედ, ჩვენ თავბრუ გვესხმება, რასაც შეიძლება მოჰყვეს გულის წასვლა და რაც გვისპობს საშუალებას რაიმე გავარჩიოთ. სიკვდილს კი შეუძლია ასეთს მდგომარეობაში ჩააყენოს ცხოველები რამდენიმე ხნით.

22. და ვინაიდან მარტივი სუბსტანციის ყოველი აწინდელი მდგომარეობა ბუნებრივად არის მისი უწინდელი მდგომარეობის შედეგი, ისე როგორც თავის მხრივ აწმყო მძიმეა მომავლით, —

23. ამიტომ, ჩვენ აუცილებლად გვქონდა პერცეპციები გონში მოსვლის წინ, რადგანაც გულის წასვლისაგან მობრუნებული ამჩნევს თავის პერცეპციებს; პერცეპციას შეეძლო ბუნებრივად გაჩენა მხოლოდ მეორე პერცეპციისაგან, ისე როგორც ერთს მოძრაობას შეუძლია ბუნებრივად გაჩნდეს მხოლოდ რომელიმე მოძრაობისაგან.

24. აქედან ნათელია, ჩვენ მუდამ გაბრუებულს მდგომარეობაში ვიქნებოდით, რომ ჩვენს პერცეპციათა შორის აღარ გვქონოდა რაიმე რჩეული, ჩინებული (distingué), აგრე რომ ითქვას აღმატებული (élevé) და უფრო მა-

ღალი ხარისხის. ხოლო სრულიად უბრალო მონადების მდგომარეობა ასეთია.

25. ჩვენ ვხედავთ აგრეთვე, რომ ბუნებას ცხოველებისათვის აღმატებული პერცეპციები მიუნიჭებია იმით, რომ მას უზრუნვია აღექურვა ისინი ასოებით, რომლებიც აგროვებენ სინათლის მრავალ სხივებს ან ჰაერის მრავალ ტალღებს, რათა შეერთების საშუალებით აქციონ ესენი უფრო მეტი შედეგების მქონედ (efficace). არის რალაც მსგავსი რამ (quelque chose d'approchant) ყნოსვაში, გემოვნებაში, შეხებაში და შეიძლება კიდევ მრავალს სხვა გრძნობაში, რომელიც ჩვენთვის უცნობია. და მე მალე ავხსნი, თუ როგორ წარმოადგენს ის, რაც სულში ხდება, იმას, რაც ასოებში ხდება.

26. მეხსიერება აძლევს სულებს თანამიმდევრობის (consécution) რალაც სახეს, რომელიც ემსგავსება განსჯას (raison), მაგრამ უნდა იქნეს მისგან გარჩეული. სწორედ ამას ვხედავთ ჩვენ, როდესაც ცხოველები, თუ სათაქვთ პერცეპცია რაიმე საგნისა, რომელიც მათ ეცემა (frappe) და რომლისაგანაც მათ ჰქონდათ მსგავსი პერცეპცია უწინ, მოელიან თავისი მეხსიერების წარმოდგენის მეოხებით იმას, რაც დაკავშირებული იყო ამ წინამორბედ პერცეპციასთან, და განწყობილი არიან (sont portés) ისეთი გრძნობებისაკენ, რომლებიც მათს მაშინდელ გრძნობებს ემსგავსებიან. მაგალითად: როდესაც ძაღლებს უჩვენებენ ჯოხს, მათ გაახსენდებათ ხოლმე ის ტკივილი, რომელიც ამ ჯოხს მიუყენებია მათთვის, და ისინი ყვირიან და გარბიან.

27. და ძლიერი წარმოდგენა (imagination), რომელიც მათ ეცემა და აღელვებს, გამოწვეულია წინამორბედ პერცეპციების ან სიდიდით, ან სიმრავლით. ვინაიდან ხშირად ძლიერი შთაბეჭდილება (impression) უცბად ჰქმნის ერთი ხანგრძლივი ჩვეულების ან საშუალო ძალის მრავალ განმეორებულ პერცეპციების ეფექტს.

28. აღამიანები მოქმედობენ, როგორც პირუტყვები, თუ მათი პერცეპციების თანამიმდევრობა მხოლოდ მეხსიერების პრინციპით ხდება, მსგავსად იმ ემპირიკოს ექიმებისა, რომლებსაც მიღებული აქვთ მარტო პრაქტიკა, უთეორიოდ; ჩვენც მხოლოდ ემპირიკოსები ვართ ჩვენი მოქმედებების სამს შეოთხედში. მაგალითად, როდესაც მოელიან, რომ ხვალინდელი დღეც გათენდება, იქცევიან ემპირიკოსთა მსგავსად, ვინაიდან ასე მომხდარა¹ ყოველთვის აქამდისო. მხოლოდ ასტრონომი მსჯელობს გათენების შესახებ განსჯის საბუთის (raison) საშუალებით.

29. მაგრამ აუცილებელ და მარადიულ ჭეშმარიტებათა ცოდნა არის ის, რაც ჩვენ გვასხვავებს უბრალო ცხოველებისაგან და ჰქმნის იმას, რომ ჩვენ გვაქვს განსჯა (raison) და მეცნიერებანი; ეს ცოდნა გვამაღლებს ჩვენი საკუთარი თავისა და ღმერთის შემეცნებამდის. და ეს არის სწორედ ის, რასაც ეწოდება ჩვენი გონიერი (raisonnable) სული ან გონება (esprit).

30. აგრეთვე აუცილებელ ჭეშმარიტებათა ცოდნისა და მათ განყენებათა საშუალებით ვართ ჩვენ სწორედ აყვანილი იმ რეფლექსიურ აქტების სიმაღლემდის, რომლებიც შესაძლებლობას ჰქმნიან აზრი გვქონდეს იმის შესახებ, რასაც „მე“ ეწოდება, და დავაკვირდეთ, რომ ჩვენში არის ესა თუ ის; და ამგვარად, როდესაც ჩვენ ვაზროვნობთ ჩვენს შესახებ, ჩვენ ვაზროვნობთ მაშინ შესახებ არსებისა, მარტივი თუ რთული სუბსტანციისა, არა-ნივთიერისა და თვით ღმერთისა, რადგანაც ჩვენ ვწვდებით, რომ ის, რაც ჩვენში ზღვარდებულია (borné), ღმერთში საზღვარს მოკლებულია, და ეს რეფლექსიური აქტები გვაწოდებენ ჩვენი სჯის (nos raisonnements) მთავარ საგნებს.

31. ჩვენი სჯები (raisonnements) ორ დიდ პრინციპზე არიან დაფუძნებული: წინააღმდეგობის (contradiction)-პრინციპზე, რომლის გამო ჩვენ შემცდარად იმას ვრაცხთ, რაც წინააღმდეგობას შეიცავს, და ჭეშმარიტად ის მი-

¹ ე. ი. გათენებულია. (შენ. მთარგმნელის).

გვაჩნია, რაც ეპირდაპირება (opposé) ან ეწინააღმდეგება შეცდომას,

32. და საკმაო საბუთის (raison suffisante) პრინციპზე, რომლის ძალით ვამჩნევთ, რომ ვერც ერთი ფაქტი ვერ იქნებოდა ჭეშმარიტი ან ნამდვილი (existant), ვერც ერთი გამოთქმა ვერ იქნებოდა სწორი, რომ მათ არ ჰქონებოდა იმის საბუთი, თუ რატომ არის ეს ასე და არა სხვაგვარად,—თუმცა ძალიან ხშირად არც კი შეიძლება, რომ ეს საბუთები ჩვენთვის ცნობილნი იყვნენ.

33. არის აგრეთვე ჭეშმარიტებათა ორი გვარი: განსჯის ჭეშმარიტებანი (vérités de raisonnement) და ფაქტის ჭეშმარიტებანი (vérités de fait). განსჯის ჭეშმარიტებანი აუცილებელი არიან და მათი საწინააღმდეგო (opposé) შეუძლებელია; ხოლო ფაქტის ჭეშმარიტებანი შემთხვევითი (contingent) არიან და მათი საწინააღმდეგო შესაძლებელია. ეს ჭეშმარიტება აუცილებელია, შეიძლება მისი საბუთის მონახვა ანალიზის საშუალებით, როდესაც ჩვენ ვშლით მას უფრო მარტივ იდეებად და ჭეშმარიტებებად, სანამ არ მივალწევთ პირველად ჭეშმარიტებასა და იდეებაჲდის.

34. სწორედ აგრე მათემატიკოსებს შორის თეორიის დებულებანი და პრაქტიკის წესები ანალიზის საშუალებით მიყვანილნი არიან განსაზღვრებებსა, აქსიომებსა და პოსტულატებთან.

35. არის დაბოლოს მარტივი იდეები, რომელთა განსაზღვრების მოცემა არ შეიძლება. არის აგრეთვე აქსიომები და პოსტულატები, ერთი სიტყვით, პირველადი პრინციპები, რომელთა დამტკიცება არ შეიძლება და არც არის ეს მათთვის საჭირო; ესენი არიან იგივეობითი წინადადებანი, რომელთა მოპირდაპირე აშკარა წინააღმდეგობას შეიცავს.

36. მაგრამ საკმაო საბუთი უნდა იპოვნებოდეს შემთხვევითს. ჭეშმარიტებებსა ან ფაქტის ჭეშმარიტებებში, ე. ი. ქმნილებათა სამყაროში გავრცელებულ საგანთა

რიგში, სადაც კერძო საბუთების მიხედვით საკითხის გადაწყვეტას შეუძლია მიაღწიოს განუსაზღვრელ წვრილმანებადის — იმ მიზეზის გამო, რომ ბუნების საგანთა სხვადასხვაობა უზომოა (immense) და სხეულები ნაწილებიან უსაზღვროდ. არის უსაზღვრო რიცხვი ფიგურებისა და აწინდელ და წარსულ მოძრაობათა, რომელნიც შედიან ჩემი ეხლანდელი წერის მოქმედებაში, და არის უსაზღვრო რიცხვი ჩემი სულის აწინდელ და წარსულ მცირე მიდრეკილებათა და განწყობილებათა, რომელნიც შედიან ამ წერის მიზნობრივ მიზეზში.

37. და რადგანაც ყოველი ეს წვრილმანი შეიცავს მხოლოდ სხვა შემთხვევითს წინამორბედებს ან უფრო დაწვრილებულ მოვლენებს, რომელთა შორის თითოეულს ესაჭიროება კიდევ მსგავსი ანალიზი, რათა მისი საბუთი იქნეს აღმოჩენილი, — ჩვენ არ ვართ წინაწაწეული, და აუცილებელია, რომ საკმაო ან უკანასკნელი საბუთი იმყოფებოდეს ამ წვრილ შემთხვევათა რიგისა ან სერიების გარეშე, რაც უნდა გრძელი იყოს ეს რიგი.

38. და სწორედ ამიტომ საგანთა უკანასკნელი საბუთი უნდა იმყოფებოდეს აუცილებელს სუბსტანციაში, რომელშიდაც ცვლილებათა სიწვრილე შეიძლება იყოს მხოლოდ უკიდურესი, როგორც ცვლილებათა პირველს წყაროში; და სწორედ ამას ვუწოდებთ ჩვენ ღმერთს.

39. მაგრამ რადგანაც ეს სუბსტანცია არის საკმაო საბუთი მთელი ამ სხვადასხვაობისა, რომელიც აგრეთვე შეკავშირებულია ყოველგან, ამიტომ არის მხოლოდ ერთი ღმერთი და ეს ღმერთი კმარა.

40. შეიძლება აგრეთვე განვსაჯოთ, რომ ეს უზენაესი სუბსტანცია, რომელიც ერთი, საყოველთაო (universelle) და აუცილებელია, რომლის გარეშე არაფერია ისეთი, რაც მისგან დამოუკიდებელი იყოს და რომელიც შესაძლებელი არსების უბრალო შედეგია, უნდა იყოს საზღვრების ქონების უნარს მოკლებული და უნდა იმდენს რეალობას (სინამდვილეს) შეიცავდეს, რამდენიც კი შესაძლებელია.

41. აქედან გამომდინარეობს შემდეგი რამ: რადგანაც სისრულე არაფერია სხვა, თუ არა დადებითი სინამდვილის (რეალობის) სიდიდე ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით, ღმერთი არის აბსოლუტურად სრული, ვინაიდან ის თავისუფალია იმ საზღვრებისა და ფარგლებისაგან, რომლებიც აქვთ საგნებს. და, იქ, სადაც არ არის ფარგლები, ე. ი. ღმერთში, სისრულე აბსოლუტურად უსაზღვროა.

42. აქედან გამომდინარეობს აგრეთვე, რომ ქმნილებებს თავისი სისრულე აქვთ ღმერთის გავლენისაგან, მაგრამ თავისი უსრულობანი (ნაკლულოვანებანი) მათ აქვთ საკუთარი ბუნებისაგან, რომელსაც¹ არ შეუძლია იყოს უსაზღვრო. ვინაიდან სწორედ ამით არიან ისინი ღმერთისაგან განსხვავებული. ქმნილებათა ეს ბუნებრივი უსრულობა მოჩანს სხეულთა ბუნებრივს ინერციაში².

43. ჭეშმარიტია აგრეთვე, რომ ღმერთი არის არა მხოლოდ წყარო არსებათა (existences); რამდენადაც ესენი წამდვილად არიან რეალური, არამედ კიდევ წყარო არსთა (essences), ან იმისა, რაც შესაძლებლობაში არის რეალური³. ეს იმიტომ არის, რომ გავება, რომელიც აქვს ღმერთს, არის არე მარადიულ ჭეშმარიტებათა ან იმ იდეათა, რომელთაგანაც დამოკიდებული არიან მრავალი ჭეშმარიტებანი, და ღმერთის გარეშე შესაძლებ-

¹ ე. ი. ქმნილების ბუნებას (შენიშვნა მთარგმნელის).

² ეს უკანასკნელი წინადადება აკლია ჰელნაწერის დედანს, მაგრამ ის დაამატა ლეიბნიცმა ამ დედანისაგან გადმოწერილს ერთ-ერთ ასლს (მთარგმნელის შენიშვნა).

³ უკანასკნელი წინადადება ფრანგულ ტექსტში ასეა მოცემული: *Il est vrai aussi qu' en Dieu est non seulement la source des existences, mais encore celle des essences, en tant que réelles, ou de ce qu'il y a de réel dans la possibilité*. გამოთქმა—*en tant que réelles, ჩვენ დაუჟავზირეთ კერძოდ existences—სიტყვას, ვინაიდან la possibilité, რომელიც მიეკუთვნება essence-სიტყვას, არ შეიძლება ზუსტად ახასიათებდეს იმას, რასაც existence-სიტყვა აღნიშნავს (მთარგმნ. შენ.)*.

ლობებში არაფერი არ იქნებოდა ნამდვილი (რეალური), არამც თუ როგორც არსებული, არამედ როგორც შესაძლებელიც.

44. ვინაიდან, თუ არსთა ან შესაძლებლობათა ან მარადიულ ჭეშმარიტებათა შორის არის სინამდვილე, ფრიად აუცილებელია, რომ ეს სინამდვილე იყოს დაფუძნებული რაღაც არსებულსა ან აქტუალურში და, მაშასადამე, იმ აუცილებელი არსების (être) არსებობაში (existence), რომელშიაც არსი (essence) შეიცავს არსებობას (existence), ან რომელშიაც ნამდვილი (actuel) ყოფნისათვის საკმარისია შესაძლებელი ყოფნა.

45. ამრიგად მხოლოდ ღმერთს ან აუცილებელს არსებას აქვს ის უპირატესობა, რომ აუცილებელია, რათა ის არსებობდეს, თუ კი ის არის შესაძლებელი: და რადგანაც არაფერს არ შეუძლია დააბრკოლოს იმის შესაძლებლობა, რაც არ შეიცავს არავითარ საზღვრებს, არავითარს უარყოფას და, მაშასადამე, არავითარ წინააღმდეგობას,—მხოლოდ ეს არის საკმარისი. რათა ღმერთის არსებობა შევიცნოთ a priori: ჩვენ დავამტკიცეთ ეს უკვე მარადიულ ჭეშმარიტებათა სინამდვილითაც. მაგრამ ჩვენ ეხლა დავამტკიცეთ ეს აგრეთვე a posteriori იმით, რომ არსებობენ შემთხვევითი არსებანი, რომელთაც შეუძლიათ თავისი უკანასკნელი ან საკმაოდ საფუძველი ჰქონდეთ მხოლოდ აუცილებელს არსებაში, რომლის არსებობის საფუძველი თვითონ მასშია.

46. მაგრამ სრულიად არ უნდა ზოგიერთების კვალად წარმოვიდგინოთ, რომ მარადიული ჭეშმარიტებანი, რაკი ისინი ღმერთისაგან არიან დამოკიდებული, თვითონებური (arbitraire) არიან და ღმერთის ნებისაგან არიან დამოკიდებული, როგორც ამას, ვგონებ, დეკარტი ფიქრობდა და შემდეგ ბ. პუარე. ეს მართალია მხოლოდ შემთხვევითი ჭეშმარიტებების შესახებ, რომელთა პრინციპია შესაფერისობა (convenance) ან უკეთესის არჩევა, იმ დროს როდესაც აუცილებელი ჭეშმარიტებანი დამო-

კიდებული არიან ღმერთის გონებისაგან (entendement) მხოლოდ და მისი შინაგანი საგანი არიან.

47. ამრიგად მხოლოდ ღმერთი არის პირველყოფილი (primitive) ერთობა და დასაწყისი მარტივი სუბსტანცია. მისი ნაყოფი არიან ყველა შექმნილი ან ნაწარმოები მონადები. რომელნიც მომენტიდან მომენტამდე იბადებიან ასე ეთქვათ ღვთაების განუწყვეტელ გაელვებათაგან და რომელნიც განსაზღვრული არიან ქმნილის მიმდებარებით, ვინაიდან ქმნილის არსებითი ნიშანი განსაზღვრული იყოს.

48. ღმერთში თავსდება ძლიერება, რომელიც არის ყველაფრის წყარო, შემდეგ—ცოდნა, რომელიც შეიცავს იდეათა ყველა კერძო სახეებს (le détail) და ბოლოს—ნება, რომელიც ქმნის ცვლილებებს ან ნაყოფებს უკეთესის პრინციპის თანახმად. და ეს შეეფერება სწორედ იმას, რაც შექმნილ მონადებში არის ქვემდებარე ან საძირკველი, წარმოდგენის უნარი და მისწრაფების უნარი. ოღონდ ღმერთში ეს ატრიბუტი აბსოლუტურად უსაზღვროა ან სრულია, ხოლო შექმნილ მონადებში ან ენტელეხიებში ან perfectihabium-ებში (ასე თარგმნიდა ენტელეხია სიტყვას ერმოლოზ ბარბაროსი) ისინი ღვთაებრივი ატრიბუტების მხოლოდ მიბაძვაა იმ ზომით, რამდენიც არის მონადაში სისრულე.

49. ქმნილების შესახებ, რამდენადაც მას აქვს სისრულე, იტყვიან, რომ ის მოქმედობს (agir) სხვაზე, რამდენადაც კი ის უსრულოა, იტყვიან, რომ ის ვნებას განიცდის (pâtir) სხვისაგან. ამრიგად მონადას მიაწერენ მოქმედებას (action), რამდენადაც მას აქვს გარკვეული პერცეპციები,—და ვნებას (passion), რამდენადაც მას აქვს ბუნდოვანი (confuses) პერცეპციები.

50. და ერთი ქმნილება იმით არის მეორეზედ უფრო სრული, რომ მასში იპოვება ის, რაც გამოსაყენებია იმის a priori ასახსნელად, რაც მეორე ქმნილებაში ხდება, და სწორედ ამის გამო იტყვიან ხოლმე, რომ ის მოქმედობს მეორეზე.

51. მაგრამ მარტივ სუბსტანციათა შორის არის მხოლოდ იდეალური გავლენა ერთი სუბსტანციისა მეორეზე—გავლენა, რომელსაც შეუძლია თავისი შედეგი ჰქონდეს მხოლოდ ღმერთის ჩარევის მეოხებით, რამდენადაც ღმერთის იდეათა არეში ყოველი მონადა საბუთიანად მოიქცევა, რომ ღმერთს ისიც ყავდეს მხედველობაში მიღებული, როდესაც სხვა მონალებს აწესრიგებს საგანთა დასაბამიდან. მხოლოდ ამ საშუალებით შეიძლება ერთს მონადას ჰქონდეს დამოკიდებულება მეორესთან, რადგანაც შექმნილ მონადას არ შეუძლია ფიზიკური გავლენა ექნეს მეორე მონადის შინაგან ყოფაზე.

52. აქედან გამომდინარეობს, რომ ქმნილთა შორის მოქმედებანი და ვნებანი საურთიერთოა. ვინაიდან ღმერთი, როდესაც ის ადარებს ორ მარტივს სუბსტანციას, პოულობს თითოეულში საბუთებს, რომლებიც ავალებენ მას (l'obligent) შეაწყოს ერთთან მეორე, და, მაშასადამე, რაც ერთი თვალსაზრისით მომქმედია (აქტიურია), სხვა თვალსაზრისით არის ვნებიანი (პასივური): მომქმედია იმდენად, რამდენადაც ის, რაც მასში გარკვეულად შეიცნობა, გამოიყენება იმის საბუთის მოსაპოვებლად, რაც მეორეში ხდება; ხოლო ვნებიანია (პასივურია) იმდენად, რამდენადაც იმის საბუთი, რაც მასში ხდება, იპოვება იმაში, რაც გარკვეულად შეიცნობა მეორეში.

53. ვინაიდან კი ღმერთის იდეებში არის უსაზღვრო რიცხვი შესაძლებელ მსოფლიოთა და ამათგან შეუძლია არსებობა მხოლოდ ერთს, საჭიროა, რომ ღმერთის არჩევანს ჰქონდეს საკმაო საბუთი, რომელიც ამოარჩევინებს მას უმაღლეს ერთს მსოფლიოს, ვიდრე მეორეს.

54. და ეს საბუთი შესაძლებელია იმყოფებოდეს მხოლოდ შესაფერისობაში, სისრულის იმ ხარისხებში, რომლებსაც ეს მსოფლიონი შეიცავენ, რადგანაც თითოეულ შესაძლებელ მსოფლიოს აქვს იმდენი უფლება არსებობაზე, რამდენ სისრულესაც ის მოიცავს.

55. და სწორედ ეს არის მიზეზი უკეთესის არსებობისა; უკეთესს შეაცნობინებს ღმერთს სიბრძნე, აარჩევინებს მას მისი სიკეთე და წარმოაშობინებს მას მისი ძლიერება.

56. ყველა შექმნილ საგანთა ეს კავშირი ან შეწყობა თითოეულ საგანთან და თითოეული საგნის კავშირი ყველა დანარჩენებთან იწვევს იმას, რომ თითოეულ მარტივ სუბსტანციას აქვს მიმართებანი, რომელნიც ყველა დანარჩენ სუბსტანციებს გამოხატავენ, და ეს მარტივი სუბსტანციაც, მაშასადამე, არის მსოფლიოს მარადიული ცოცხალი სარკე.

57. და როგორც ერთი და იგივე ქალაქი, სხვადასხვა მხრიდან დანახული, მოჩანს სხვადასხვანაირად და თითქო პერსპექტიულად გამრავლებულად, სწორედ ასე, მარტივ სუბსტანციათა უბოლო რიცხვის გამო, თითქო ამდენივე სხვადასხვა მსოფლიოებია, რომლებიც მაინც, თითოეული მონადის თვალთახედვის სხვადასხვაობის თანახმად, მხოლოდ ერთი მსოფლიოს პერსპექტივებია.

58. და ეს არის საშუალება იმდენი სხვადასხვაობის მიღებისათვის, რამდენიც კი შესაძლებელია,—ოღონდ უდიდესი წესრიგით, რომელიც შეიძლება, ე.ი. ეს არის საშუალება იმდენი სისრულის მისაღებად, რამდენიც კი შესაძლოა.

59. ამრიგად, მხოლოდ ეს ჰიპოთეზა (რომლის შესახებ ვბედავ ვთქვა, რომ ის დამტკიცებულია) ცხად ჰყოფს, ისე როგორც საჭიროა, ღმერთის სიდიადეს. ეს სცნო სწორედ ბ. ბეილმა, როდესაც მან თავის ლექსიკონში (Rorarius-სიტყვის განმარტებისას) გამოსთქვა ამის შესახებ შენიშვნები, სადაც ის იძულებული ხდება აღიაროს, რომ მე მივაწერ ღმერთს ძალიან ბევრს და იმაზე მეტს, რაც შესაძლებელია. მაგრამ ბ. ბეილმა ვერ მოიყვანა ვერც ერთი საბუთი, თუ რატომ არის შეუძლებელი ეს მსოფლიო ჰარმონია, რომლის გამო ყოველი სუბსტანცია ზუსტად გამოხატავს ყველა დანარჩენებს იმ მიმართებათა საშუალებით, რომელნიც აქვს მას.

60. ამის გარდა, იმაში რაც მე ესლა მივიყვანე, ჩვენ ვხედავთ იმის აპრიორულს საბუთებს, თუ რატომ არ შეუძლიათ საგნებს სხვანაირად იყვნენ: არ შეუძლიათ იმიტომ, რომ ღმერთს, როდესაც ის აწესრიგებდა მთელს, მხედველობაში ყავდა მიღებული, თითოეული ნაწილი და განსაკუთრებით თითოეული მონადა, რომელსაც წარმოდგენითი (representative) ბუნება აქვს და რომელსაც ვერაფერი ვერ დაუდებდა იმის ზღვარს, რომ მას საგანთა მხოლოდ ერთი ნაწილი წარმოედგინა, თუმცა, მართალია, ეს წარმოდგენა ბუნდოვანია მთელი მსოფლიოს წვრილმანების შესახებ და მას შეუძლია გარკვეული იყოს საგანთა მხოლოდ მცირე ნაწილის შესახებ, ე. ი. იმ საგანთა შესახებ, რომლებიც ან ყველაზედ უფრო ახლობელი არიან, ან ყველაზე უფრო დიდი არიან თითოეული მონადის მიმართ; წინააღმდეგ შემთხვევაში¹, თითოეული მონადა იქნებოდა ღვთაებრივი. არა შემეცნების საგანში, არამედ საგნის შემეცნების სახეობაში (modification) არიან მონადები განსაზღვრული. ყველა მონადები მიმართული არიან უსაზღვროსაკენ, მაგრამ განსაზღვრული არიან და განსხვავდებიან ისინი გარკვეულ პერცეპციათა ხარისხებით.

61. რთული სუბსტანციებიც შეესატყვისებიან ამაში მარტივებს. რადგანაც ყველაფერი სავსეა (რაც მთელს ნივთიერებას შეკრულად აქცევს) და რადგანაც სავსეში ყოველი მოძრაობა გავლენას ახდენს დაშორებულ სხეულზე (იმისდა მიხედვით, თუ რა ზომაზე არიან ისინი დაშორებული, ასე რომ თითოეული სხეული განიცდის არა მხოლოდ იმ სხეულების გავლენას, რომლებიც მას უშუალოდ ეხებიან, აგრეთვე არა მხოლოდ იმას, რაც ამ სხეულებს შეემთხვევა ხოლმე,—არამედ ამ სხეულების საშუალებით ის განიცდის იმათაც, რომლებიც ეხებიან ამ უკანასკნელებს)—ამიტომ აუცილებელია, რომ ეს ურთი-

¹ ე. ი. თითოეულ მონადას რომ გარკვეული წარმოდგენა ჰქონდეს მსოფლიოს ყველა საგანთა შესახებ (შენ. მთარგმნელის).

ერთობა ვრცელდებოდა ყოველს მანძილზე, როგორც არ უნდა იყოს ის. მაშასადამე, ყოველი სხეული განიცდის, ყველაფერს, რაც კი მსოფლიოში ხდება. ამრიგად იმას, ვინც ყველაფერს ხედავს, შეეძლო თითოეულ სხეულში ამოეკითხა, თუ რა ხდება ყოველგან, და ისიც კი, თუ რა მომხდარა ან რა მოხდება, და შეემჩნია მის წინაშე მყოფში ის, რაც დაშორებულია როგორც დროში, ისე სივრცეში; $\sigma\mu\pi\upsilon\iota\alpha\ \pi\acute{\alpha}\nu\tau\alpha$ ¹ — იტყოდა ხოლმე ჰიპპოკრატე. მაგრამ სულს შეუძლია საკუთარ თავში ამოიკითხოს მხოლოდ ის, რაც იქ გარკვეულად არის წარმოდგენილი; მას არ შეუძლია ერთი დაკვრით გაშალოს თავისი ნაკეცები, რადგან ესენი უსახლგროში იკარგებიან.

62. ამრიგად, თუმცა თვითეული შექმნილი მონადა მთელს მსოფლიოს წარმოადგენს, მაგრამ უფრო გარკვეულად ის წარმოადგენს იმ სხეულს, რომელიც დაკავშირებულია მასთან განსაკუთრებულად და რომლის ენტელეხიაც არის ის; და რადგანაც ეს სხეული გამოხატავს მთელს მსოფლიოს, იმის გამო, რომ მთელი მატერია სავსეში შეკრულია, სულიც მთელს მსოფლიოს წარმოადგენს, რადგანაც ის წარმოადგენს სხეულს, რომელიც მასთან განსაკუთრებულად არის დაკავშირებული.

63. სხეული ეკუთვნის მონადას; რომელიც არის მისი ენტელეხია ან და მისი სული. ენტელეხიასთან ერთად სხეული შეადგენს იმას, რასაც შეიძლება ეწოდოს ცოცხალი არსება (vivant), ხოლო სულთან ერთად ის შეადგენს იმას, რასაც ეწოდება ცხოველი (animal). ცოცხალი არსების სხეული ან ცხოველის სხეული არის ყოველთვის ორგანული; მართლაც, რაკი ყოველი მონადა არის თავისებური სარკე მსოფლიოსი, მსოფლიო კი მოწესრიგებულია სრული წესით, ამიტომ აუცილებელია, რომ იყოს წესი წარმოდგენებშიც, ე. ი. სულის პერცეპციებში, და, მაშასადამე, სხეულშიც, რომლის თანახმად არის იქ მსოფლიო წარმოდგენილი.

¹ ე. ი. ყველანი ურთიერთ შორის შეთანხმებულად სუნთქავენ, ყველანი საერთო ცხოვრებით ცხოვრობენ (შენ. მთარგმნ.).

64. ამრიგად თითოეული ცოცხალი არსების ორგანიზმი სხეული არის ღვთაებრივი მანქანის ან ბუნებრივი ავტომატის სახე, რომელიც ხელოვნურ ავტომატს სჯობს უსაზღვროდ, იმიტომ რომ ადამიანის ხელოვნებით გაკეთებული მანქანა არ არის მანქანა თითოეულ თავის ნაწილში: მაგალითად, ყვითელი სპილენძის ბორბლის კბილს აქვს ნაწილები, რომლებიც ჩვენთვის უკვე არ არიან რაღაც ხელოვნური და არაფერს ისეთს არ შეიცავენ, რაც მანქანის მაჩვენებელია იმ მოხმარების თვალსაზრისით, რომლისათვისაც დანიშნული იყო ბორბალი. მაგრამ ბუნების მანქანები ან ცოცხალი სხეულები მანქანა არიან თავის უსაზღვროდ მცირე ნაწილებშიც კი: სწორედ ეს ქმნის განსხვავებას ბუნებასა და ხელოვნებას შორის, ე. ი. ღვთაებრივ ხელოვნებასა და ჩვენს ხელოვნებას შორის.

65. ეს ღვთაებრივი და უსაზღვროდ სასწაულებრივი ხელოვნება ბუნების შექმნელს იმიტომ შეეძლო მოეწვინებია, რომ ნივთიერების თითოეული ნაკვეთი არამც თუ უსაზღვროდ განყოფადია (divisible), როგორც ამას ანტიკური მოაზროვნეებიც აღიარებენ, არამედ ის კიდევ აქტუალურადაც გაყოფილია უსაზღვროდ და ყოველი ნაწილი შეიცავს ახალ ნაწილებს, რომელთაგან თითოეულს აქვს საკუთარი მოძრაობა: სხვანაირად შეუძლებელი იქნებოდა, რომ ნივთიერების ყოველს ნაკვეთს მსოფლიო გამოეხატა.

66. აქედან ჩანს, რომ ნივთიერების უნცირეს ნაწილში არის ქმნილებათა, ცოცხალ არსებათა, ცხოველთა, ენტელეხიათა და სულთა სამყარო.

67. ნივთიერების ყოველი ნაკვეთი შეიძლება იქნეს გაგებულნი, როგორც მცენარეებით სავსე ბაღი ან როგორც თევზებით სავსე ტბა. მაგრამ თითოეული შტო ამ მცენარისა, თითოეული ასო ამ ცხოველისა, თითოეული წვეთი ამ სითხისა არის ასეთივე ბაღი და ასეთივე ტბა.

68. და თუმცა ამ ზალის მცენარეთა შორის მოქცეული მიწა და ჰაერი ან ამ ტბის თევზებს შორის მოქცეული წყალი არ არიან არც მცენარე და არც თევზი, მაგრამ ისინი¹ მაინც შეიცავენ კიდევ ამათ², ოღონდ ძალიან ხშირად ჩვენთვის უკვე შეუმჩნეველი სიდიდის მქონეებს.

69. ამრიგად მსოფლიოში არაფერია დაუმუშავებელი (inculte), უნაყოფო, მკვდარი. არავითარი ქაოსი და არევ-დარევა აქ არ არსებობს, თუ არა მოჩვენებაში მხოლოდ. დაახლოებით ასე გვეჩვენება ჩვენ ტბა, რომელშიაც ჩვენ შორიდან შევნიშნავდით მხოლოდ გაურკვეველ მოძრაობას და თევზების, ასე ვთქვათ, გვრემას (grouillement), მაგრამ თვითონ თევზებს კი ვერ გავარჩევდით.

70. აქედან ჩანს, რომ თითოეულ ცოცხალ სხეულს აქვს უმფროსი (dominante) ენტელეხია, რომელიც ცხოველში არის სული: მაგრამ ამ ცოცხალი სხეულის ასოები ავსებულა სხვა ცოცხალი არსებებით, მცენარეებით, ცხოველებით, რომელთა შორის თვითეულს აქვს კიდევ თავისი ენტელეხია ან თავისი მბრძანებელი (მთავარი, უმფროსი, dominante) სული.

71. მაგრამ ზოგიერთების კვალად, რომლებმაც ცუდად გაიგეს ჩემი აზრი, სრულიად არ უნდა ვიფიქროთ, რომ თვითეულ სულს აქვს თავისი საკუთარი მასა ან ნაკვეთი ნივთიერებისა, რომელიც სამუდამოდ მასთან იყოს დაკავშირებული, და რომ მას ყავს, მაშასადამე, დაბალი ხარისხის სხვა ცოცხალი არსებები, რომლებიც მისი სამუდამო მსახურებისათვის არიან დანიშნული. ვინაიდან ყველა სხეულები, მდინარეების მსგავსად, მარადიულს დინებაში იმყოფებიან და ნაწილები განუწყვეტლივ შედიან იქ და გადიან იქიდან.

¹ ე.ა. მიწა და ჰაერი.—ერთის მხრით, და წყალი—მეორის მხრით (შენიშვნა მთარგმნელის).

² ე. ი. მცენარეს და თევზს. (შენ. მთარგმნ.).

72. ამრიგად, სული იცვლის ტანს მხოლოდ ცოტ-ცოტად და თანდათან, ისე, რომ არასოდეს არ კარგავს ის უცბად ყველა თავის ორგანოებს; და ცხოველებში ხშირია მეტამორფოზა, მაგრამ არასოდეს არ ხდება მეტემფსიქოზი, და არც სულების გადასახლება (transmigration); არა უმეტეს არსებობენ სხეულისაგან სრულიად გამოყოფილი სულები და არც უსხეულო გენიოსები (génies)¹.

73. სწორედ ეს არის იმის საფუძველი, რომ არასოდეს არ ხდება არც სრული დაბადება და არც სრული სიკვდილი (ამ სიტყვების ზუსტი მნიშვნელობით), რომელიც სულის განცალკევებაში გამოიხატება. და ის, რასაც ჩვენ დაბადებას ვუწოდებთ, არის გაშლა-განვითარება (developpement) და გაზრდა-გადიდება (accroissement) და ის, რასაც ჩვენ სიკვდილს ვუწოდებთ, არის შეკეცვა და შემცირება.

74. ფილოსოფოსნი ძალიან დაბრკოლებულნი იყვნენ საკითხით ფორმათა, ენტელეხიათა და სულთა წარმოშობისათვის. მაგრამ დღეს, როდესაც მცენარეთა, მწერთა და ცხოველთა შესახებ წარმოებულ ზუსტ გამოკვლევათა საშუალებით შენიშნეს, რომ ბუნების ორგანული სხეულები არასოდეს არ ჩნდებიან ქაოსიდან ან მტვრად ქცეულთაგან (putréfaction), არამედ ჩნდებიან ყოველთვის თესლებიდან, რომლებშიც უეჭველად იყო რაღაც წინადასახულობა (préformation), — გადასწყვიტეს, რომ ჩასახვაზე ადრე არსებობდა არამც თუ ორგანული სხეული მხოლოდ, არამედ სულიც ამ სხეულში, იგი სიტყვით — არსებობდა მთელი ცხოველი, და ჩასახვის საშუალებით ეს ცხოველი განწყობილი შეიქნა დიდი გარდაქმნისათვის (transformation), რათა სხვა სახის ცხოველად ქცეული-

¹ Génie (გენიოსი) არის საზოგადო სახელი ფანტასტიკური სულებისათვის: დემონებისათვის, ანგელოზებისათვის, ეშმაკებისათვის (შენ. მთარგმნელის).

ყო. მსგავსი რამ შესამჩნევია დაბადების გარეშედაც, მაგალითად, როდესაც ქიები იქცევიან ბუზებად და მატლები პეპლებად.

75. ცხოველებს, რომელთა შორის ზოგიერთები იქცევიან ჩასახვის საშუალებით ძალიან დიდ ცხოველებად, შეიძლება ეწოდოს თესლოვანი (spermatiques). მაგრამ ამათ შორის ისინი, რომელნიც თავისი სახის ფარგლებში რჩებიან, ე.ი. უმრავლესობა, იბადებიან, მრავლდებიან და იღუპებიან, როგორც ემართება ეს დიდს ცხოველს, და მხოლოდ რჩეულთა მცირე რიცხვი გადადის უფრო დიდს სარბიელზე.

76. მაგრამ ეს იქნებოდა ჭეშმარიტების მხოლოდ ნახევარი. ამიტომ მე გადავწყვიტე: თუ ცხოველი არასოდეს არ იწყებს არსებობას ბუნებრივად, არაუმეტესად დაასრულებს ის არსებობას ბუნებრივად, და არ იქნება არამც თუ სრული დაბადება, არამედ სრული დაშლა (destruction) და სიკვდილიც, ამ სიტყვების ზუსტი მნიშვნელობით. და ეს a posteriori ნაწარმოები და ცდებისაგან ამოწვდილი მსჯელობები (raisonnements) სრულიად ეთანხმებიან ჩემს მთავარ დებულებებს, რომლებიც გამოყვანილი არიან a priori, როგორც ეს იყო ზემოთ.

77. ამრიგად შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ სული (დაუშლელი მსოფლიოს სარკე) კი არ არის დაუშლელი (indestructible), არამედ დაუშლელია კიდევ თვით ცხოველიც, თუმცა ხშირად მისი მანქანა ნაწილ-ნაწილად იღუპება და სტოვებს ან იღებს ორგანულ ქერქებს.

78. ამ დებულებებმა მომცეს საშუალება ამეხსნა ბუნებრივად სულისა და ორგანული სხეულის ერთობა ან, უკეთ, თანხმობა. სული ექვემდებარება თავის საკუთარ კანონებს, აგრეთვე სხეულიც—თავის საკუთარს. და ისინი ეთანხმებიან ერთმანეთს იმ ჰარმონიის ძალით, რომელიც წინასწარ დაწესებულია ყველა სუბსტანციათა შორის, ვინაიდან ყველა ეს სუბსტანციები ერთი და იმავე მსოფლიოს წარმომადგენლები არიან.

77. სულები მოქმედობენ საბოლოო მიზეზთა (causes finales) კანონების თანახმად: მიდრეკილებათა; მიზანთა და საშუალებათა მეოხებით: სხეულები მოქმედობენ გამომწვევ მიზეზთა (causes efficientes) ან მოძრაობათა კანონების თანახმად: და ეს ორი სამთავრო (გამომწვევ მიზეზთა სამთავრო და საბოლოო მიზეზთა სამთავრო) ჰარმონიაში იმყოფებიან ურთიერთთან.

80. დეკარტმა სცნო, რომ სულებს სრულიად არ შეუძლიათ სხეულებისათვის ძალის მიცემა, რადგან ნივთიერებაში მუდამ ძალის ერთი და იგივე რაოდენობაა. ოღონდ მან იფიქრა, რომ სულს შეუძლია შესცვალოს სხეულთა მიმართულება. მაგრამ ეს იმიტომ მოხდა, რომ დეკარტის დროს არ იცნობდნენ ბუნების იმ კანონს, რომელიც მოითხოვს ნთლიანად იმავე მიმართულების დაცვასაც ნივთიერებაში. ეს რომ დეკარტს შეენიშნა, ის მიაგნებდა წინასწარ დაწესებული ჰარმონიის (harmonie préétablie) იმ სისტემას, რომელსაც მე ვაღიარებ.

81. ეს სისტემა ამყარებს, რომ სხეულები ისე მოქმედობენ, თითქო სულები სრულიადაც არ არსებულებიყვნენ (რაც შეუძლებელია), და რომ სულები ისე მოქმედობენ, თითქო სხეულები სრულიად არ არსებულებიყვნენ. ორთავენი კი ისე მოქმედობენ, თითქო ერთი გავლენას ახდენდეს მეორეზე.

82. რაც შეეხება გონებებს (esprits) ან გონიერ სულებს (âmes raisonnables), თუმცა, როგორც ეს ზევით ითქვა, მე ვფიქრობ, რომ არსებითად ერთი და იგივე ხდება ცოცხალ არსებებსა და ცხოველებში (სახელდობრ, ცოცხალი არსება და ცხოველი იწყებენ არსებობას მხოლოდ სამყაროსთან ერთად და არა უმაღლ აბოლოვებენ არსებობას, ვიდრე სამყარო)—მაგრამ გონიერ ცხოველებში არის მაინც ის თავისებურობა, რომ მათს სათესლე პატარა ცხოველებს, სანამ ისინი მხოლოდ ეს არიან, აქვთ მარტო ჩვეულებრივი ან მგრძნობელნი (sensitives) სულები; ოღონდ, რა ჟამსაც, ასე ვთქვათ, რჩეულები მათ

შორის აღწევენ ნამდვილი ჩასახვის საშუალებით ადამიანურ ბუნებას, მათი მგრძობელი სულები მალღებთან გონების (raison) ხარისხამდის და გონიერ სულთა უპირატესობამდის.

83. სხვა განსხვავებათა შორის, რომელიც არის ჩვეულებრივ სულებსა და გონიერ სულებს შორის (ამ განსხვავებათა ნაწილი უკვე აღვნიშნე), იმყოფება კიდევ შემდეგი: სულები საზოგადოდ არიან ქმნილებათა სამყაროს ცოცხალი სარკეები ან ხატები, მაგრამ გონიერი სულები არიან გარდა ამისა, თვით ღვთაების, ე. ი. ბუნების შემომქმედის, ხატები და მათ აქვთ უნარი მსოფლიოს სისტემა შეიცნონ და ამ სისტემის რომელიმე საგანს მიბაძონ არქიტექტიკული ნიმუშებით, ვინაიდან თითოეული გონიერი სული თითქო ღვთაებაა თავის კუთხეში.

84. სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ გონიერ სულებს მინიჭებული აქვთ უნარი საზოგადოების დამახასიათებელი ურთიერთობა ჰქონდეთ ღმერთთან, და ღმერთი არის მათ მიმართ არამც თუ მხოლოდ ის, რაც არის გამომგონებელი თავისი მანქანისათვის (და რაც არის იგივე ღმერთი დანარჩენ ქმნილებათა მიწართ), არამედ ღმერთი გონიერ სულთა მიმართ არის კიდევ ის, რაც არის მთავარი თავისი ქვეშევრდომთათვის და თვით მამა თავისი ბავშვებისათვის.

85. აქედან აღვილია იმ დასკვნის გამოყვანა, რომ ყველა გონიერ სხეულის კრებული უნდა შეადგენდეს ღმერთის სამთავროს (la cité de Dieu), ე. ი. უუსრულებს სახელმწიფოს, რომელიც კი შესაძლებელია უუსრულებს ხელმწიფის მმართველობის ქვეშ.

86. ღმერთის ეს სამთავრო, ეს ჭეშმარიტად მსოფლიო მონარქია, არის ზნეობრივი სამყარო ბუნებრივს სამყაროში; ღმერთის სხვა ქმნილებათა შორის ის არის ყველაზედ უზენაესი და ყველაზედ უფრო ღვთაებრივი, და სწორედ მასში შედგება ჭეშმარიტად ღმერთის დიდება (gloire), ვინაიდან უკანასკნელი არ იქნებოდა, რომ ღმერ-

თის სიდიადე და სიკეთე არ ყოფილიყვნენ ცნობილი და ზღაღრესად მოწონებული გონიერ სულთა მიერ: სწორედ ამ ღვთაებრივ საქმთავროს მიმართ აქვს ღმერთს სიკეთე, მისი სიბრძნე და ძლიერება კი ყოველგან იჩენენ თავს.

87. როგორც ზევით აღმოვაჩინეთ ჩვენ სრული ჰარმონია ორს ბუნებრივ სამეფოს შორის, გამომწვევ მიზეზთა სამეფოსა და საბოლოო მიზეზთა სამეფოს შორის, ისე აქაც უნდა აღვნიშნოთ მეორე ჰარმონია ბუნების ფიზიკურ სამეფოსა და მადლის (grâce) ზნეობრივ სამეფოს შორის, ე. ი. ღმერთსა, როგორც მსოფლიოს მანქანის აღმაშენებელსა, და ღმერთსა, როგორც გონიერ სულთა ღვთაებრივი სამთავროს ხელმწიფის შორის.

88. ამ ჰარმონიის ძალით, საგნებს მიეყავართ მადლისაკენ თვითონ ბუნების გზებით, და ჩვენი ქვეყანა, მაგალითად, უნდა იქნეს დანგრეული და კვლავ აღდგენილი ბუნებრივი გზებით იმ მომენტებში, როდესაც ამას მოითხოვდეს იქნება გონიერ სულთა უზენაესი მმართველობა ზოგიერთების დასასჯელად და სხვების დასაჯილდოვებლად.

89. შეიძლება კიდევ ითქვას, რომ ღმერთი, როგორც აღმაშენებელი, ყველაფერში აკმაყოფილებს ღმერთს, როგორც კანონმდებელს; ამიტომ ბუნების წესისა და თვითსაგანთა მექანიკური წყობის ძალით ცოდვები აუცილებლად ატარებენ თავის თავში საკუთარ სასჯელს, და ამნაირადვე, სხეულთა მიმართ მექანიკური გზებით იღებენ თავის ჯილდოს კეთილი საქციელნიც. თუმცა ეს არ შეიძლება და არც უნდა მაშინვე მოხდეს ყოველთვის.

90. დაბოლოს ამ სრული მმართველობის ქვეშ არ იქნება დაუჯილდოვებელი კეთილი საქციელი და დაუსჯელი ცუდი საქციელი, და ყველაფერი უნდა წარიმართოს კეთილთა სასიკეთოდ, ე. ი. იმათ სასიკეთოდ, რომლებიც ამ დიდ სახელმწიფოში სრულიად არ არიან უკმაყოფილონი, რომლებიც თავისი მოვალეობის შესრულების შემ-

დევ ანდობენ თავს განგებას (Providence), რომლებიც სიყვარულით ეკიდებიან და მიბაძავენ, როგორც ეს საჭიროა, ყოველივე სიკეთის შემქმნელს და ჭეშმარიტად წმინდა სიყვარულის ბუნების თანახმად, რომელიც მოითხოვს სიამოვნება ვინც გვიყვარს იმის ბედნიერებაში ვპოვოთ, სიხარულს განიცდიან მის სისრულეთა ცქერით. სწორედ ამის გამო მუშაობენ ბრძენი და სათნო პიროვნებანი ყველა იმაზე, რაც, საფიქრებელია, შეეფერება პრეზუმტივულს ან წინასწარს ღვთაებრივ ნებას, და კმაყოფილი არიან ამასობაში იმით, რასაც ღმერთი ნამდვილად (effectivement) მოაუღწეს თავისი საიდუმლო, თანამდევარი და გადამწყვეტი ნებით, რადგანაც ეს პიროვნებანი სცნობენ შემდეგს გარემოებას: რომ ჩვენ შეგვეძლოს მსოფლიო წყობის საკმაო გაგება, შევნიშნავდით, რომ ის აჭარბებს უზბრძენესთა ყველა სურვილებს და რომ შეუძლებელია მისი ქცევა იმაზე უკეთესად, ვიდრე არის ის, არამც თუ საზოგადოდ მთელის მიმართ, არამედ კერძოდ თვითონ ჩვენს მიმართაც, თუ ჩვენ როგორც საჭიროა ისე გვიყვარს ყოვლის შემომქმედი, ე. ი. გვიყვარს არა მხოლოდ როგორც ჩვენი არსებების აღმაშენებელი და საწყისი მიზეზი, არამედ აგრეთვე როგორც ჩვენი უფალი და საბოლოო მიზანი, რომელიც უნდა ჩვენი ნების მთელს მიზანს შეადგენდეს და რომელსაც მხოლოდ შეუძლია ჩვენი ბედნიერება შეადგინოს.

განაზრებანი ცოდნისა, ჭეშმარიტებისა და იდეათათვის¹

ვინაიდან ღღეს სახელოვან მეცნიერთა შორის წარმოებს კამათი ჭეშმარიტ და მცდარ იდეების შესახებ და ვინაიდან ჭეშმარიტების ამ საკითხს, რომელშიაც თვით დეკარტიც კი ყოველთვის არ აკმაყოფილებს, დიდი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ მე გადავწყვიტე მოკლე განმემატა, თუ რა უნდა იქნეს, ჩემი აზრით, დადგინებული იდეათა და ცოდნათა განსხვავებისა და ნიშნების შესახებ. ცოდნა არის ან ბნელი (*obscura*) ან ნათელი (*clara*); ნათელი ცოდნა თავის მხრივ არის ან ბუნდოვანი (*confusa*) ან გარკვეული (*distincta*); გარკვეული ცოდნა არის ან შეუსატყვისო (*inadaequata*) ან შესატყვისი (*adaequata*), აგრეთვე—ან სიმბოლიური (*symbolica*) ან ინტუიტივური (*intuitiva*). თუ რომელიმე ცოდნა ერთსა და იმავე დროს შესატყვისიც არის და ინტუიტივურიც, ის არის უუსრულებსი ცოდნა.

ბნელი არის ის ცოდნა, რომელიც წარმოდგენილი საგნის შესაცნობად არ არის საკმარ. მაგალითად, თუ მე მახსენდება რომელიმე ყვავილი ან ოდესღაც ნახული ცხრველი, მაგრამ არ შემიძლია იგი შევიცნო ისე, რამდენადაც ეს საკმარისია ან სავალდებულოა, და გავარჩიო სხვა მსგავს საგნისაგან, ან და—თუ მე წარმოვიდგენ სკოლებში არა-საკმაროდ ახსნილ რომელსამე ტერმინს (მაგალითად, არისტოტელის ენტელეხიას ან მიზებს, რამ-

¹ თარგმნილია ლათინური ტექსტიდან „Meditationes de cognitione, veritate et ideis“, რომელიც მოთავსებულია Paul Janet-ს გამოცემაში: Oeuvres philosophiques de Leibniz, t. I, p. 621—626.

დენადნც ის საზოგადოა მატერიისათვის, ფორმისათვის, მომქმედისათვის და ბოლოსათვის) ან კიდევ სხვას ამის მსგავს რასმე, რომლის შესახებ ჩვენ არ გვაქვს არავითარი კბალი (certa) განსაზღვრება,—მაშინ ბნელად იქცევა აგრეთვე ის წინადადებაც (propositio), სადაც ამგვარი ცნება (notio) შედის. მაშასადამე, ნათელი ცოდნა არის ის, საიდანაც მე შემიძლია წარმოდგენილი საგნის შეცნობა.

თავის მხრივ ნათელი ცოდნა შეიძლება იყოს ან ბუნდოვანი, ან გარკვეული. ბუნდოვანად ცოდნა მაშინ იგულისხმება, როდესაც მე არ შემიძლია ცალკე ჩამოვთვალო ნიშნები, რომლებიც საკმაოა რომელიმე საგნის გასარჩევად სხვებისაგან, ნამდვილად კი ამ საგანს აქვს ასეთი ნიშნები და ის თვისებები (requisita), რომლებზედაც შეიძლება მისი ცნება დაიშალოს: ასე, მაგალითად, ჩვენ საკმაოდ ნათლად შევიცნობთ და ერთმანეთისაგან ვარჩევთ ფერებს, სუნებს, გემოებს და სხვა გრძნობისეულს (peculiarioria sensium) საგნებს; მაგრამ შევიცნობთ მათ მხოლოდ გრძნობათა მოწმობით და არა ისეთ ცნებებში, რომელთა გამოთქმა შესაძლებელია. ასე რომ ჩვენ არ ძალგვიძს ბრმას ავუხსნათ, რა არის წითელი, და არც სხვებს შეგვიძლია ასეთი რამეების შესახებ მივსცეთ ნათელი წარმოდგენა (declarare), თუ კი არ მივიყვანეთ ისინი წინამდებარე საგანთან და ისე არ მოვაწყვეთ, რომ ისინი ხედავდნენ მას, ყნოსავდნენ და გრძნობდნენ გემოს, ან ყოველ შემთხვევაში, თუ არ გავახსენეთ მათ რომელიმე მსგავსი წარსული წარმოდგენა (perceptio): თუმცა ცხადია, რომ ამ თვისებათა ცნებები რთული არიან და შეიძლებოდა მათი დაშლა, ვინაიდან მათ აქვთ თავისი მიზეზები. ამის მსგავსად ჩვენ ვხედავთ, რომ მხატვრებმა და ხელოვნებმა კარგად იციან, თუ რა არის სწორად და რა არის ცუდად გაკეთებული; მაგრამ ხშირად მათ არ შეუძლიათ თავისი მსჯელობის დასაბუთება და, თუ ვინმე შეე-

კითხა, იტყვიან ხოლმე, რომ იმ საგანს, რომელიც მათ
არ მოსწონთ, აკლია „არ ვიცი რალაც“.

გარკვეული ცოდნაა ის, რომელიც აქვთ ოქროს შე-
სახებ ლითონების შემმოწმებლებს (*docimastae*) ისეთი
ნიშნებისა და შემოწმების ხერხების საშუალებით, რომ-
ლებიც საკმარისია ოქროს გასარჩევად ყველა მსგავს სხეუ-
ლებისაგან. ასეთივე ცოდნა გვაქვს ჩვენ რამდენიმე გრძნო-
ბისათვის საზოგადო ცნებების შესახებ, როგორც არიან
ცნებები რიცხვისა, სიდიდისა, მოყვანილობისა, აგრეთვე
სულის მრავალ განცდათა შესახებ; როგორცაა იმედი,
შიში; ერთი სიტყვით, გარკვეული ცოდნა გვაქვს ჩვენ
ყველა იმაზე, რის შესახებაც მოგვეპოვება სიტყვიერი გან-
საზღვრება (*definitio nominalis*), რომელიც სხვა არაფე-
რია, თუ არა საკმარისი ნიშნების ჩამოთვლა. მაგრამ გა-
ნუსაზღვრებელი ცნების (*notionis indefinibilis*) შესახე-
ბაც არის გარკვეული ცოდნა, როდესაც ეს ცნება არის პირ-
ველყოფილი (*primitiva*) ან თავის თავის ნიშანი, ე. ი.
როდესაც ის დაუშლელია და ვერ გაიგება, თუ არა მი-
სივე საშუალებით: იმდენად მოკლებულია იგი თვისებებს
(*requisita*). რაც შეეხება რთულს ცნებებს, უნდა ითქვას
შემდეგი: რამდენადაც ცალკეული შემადგენელი ნიშნები,
თუმცა ნათლად, მაგრამ მაინც ბუნდოვანად შეიცნობა,
როგორც სიმძიმე, ფერი, სიმჟავე (*aqua fortis*) და ოქროში
შემავალი სხვა ნიშნები, — ოქროს აი ასეთი ცოდნა გარკვეუ-
ლია, მაგრამ ის არის შეუსატყვისო (*inadaequata*). როდეს-
საც კი ყველაფერი ის, რაც გარკვეულს ცოდნაში შედის,
თავის მხრივ გარკვეულად არის შეცნობილი, ან როდესაც
ანალიზი მიყვანილია ბოლომდის, მაშინ ცოდნა არის შე-
სატყვისი (*adaequata*). მე არ ვიცი, შეუძლია თუ არა
კაცს მოგვეცეს სრული ნიმუში შესატყვისი ცოდნისა, მაგ-
რამ ძალიან უახლოვდება შესატყვის ცოდნას რიცხვების
ცოდნა. უმრავლეს შემთხვევაში კი, განსაკუთრებით მოგრ-
ძო ანალიზის დროს, ჩვენ საგნის ბოელს ბუნებას ერთ-
ბაშად კი არ ვჭვრეტთ (*intuemur*), არამედ საგანთა
ნაცვლად ვსარგებლობთ ნიშნებით, რომელთა ახლნას შე-

მოკლების მიზნით არ ვკიდებთ ხელს ჩვეულებრივი აზროვნების ამა თუ იმ მომენტში, რადგან ვიცით ან დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენ შეგვიძლია ასეთი ახსნის მიცემა: მაგალითად, როდესაც მე ვაზროვნობ ათასკუთხედზე ან მრავალკუთხედზე, რომელსაც ათასი თანასწორი გვერდი აქვს, მე არა ყოველთვის წარმოვიდგენ (considero) გვერდის, თანასწორობის, ათასეულის (ან ათეულის კუბის) ბუნებას, არამედ ვხმარობ გონებაში (animo) ამ სახელებს (რომელთა მნიშვნელობა იმ ჟამს წარმომიდგება ფრიად ბნელად და უსრულოდ) იმ იდეების ნაცვლად, რომლებიც მაქვს მათ შესახებ, რადგანაც მახსოვს, რომ მე ვიცი ამ სახელების მნიშვნელობა და ვფიქრობ, რომ არ არის ამჟამად საჭირო მათი ახსნა: ასეთს აზროვნებას მე ჩვეულებრივ ვუწოდებ ბ რ მ ა ს, ან კიდევ ს ი მ ბ ო ლ ი უ რ ს. ამგვარ აზროვნებით ვსარგებლობთ ჩვენ ალგებრაშიც, არითმეტიკაშიც და თითქმის ყოველგან, როდესაც ცნება ძალიან რთულია და ჩვენ არ შეგვიძლია ყველა მისი შემადგენელი ცნებები ერთბაშად განვიაზროთ: მაგრამ იქ, სადაც ეს შესაძლებელია ან რამდენადაც მაინც შესაძლებელია,—ცოდნას მე ვუწოდებ ინტუიტივურს. გარკვეული პირველყოფილი (primitiva) ცნების ცოდნა არა სხვაგვარია, თუ არა ინტუიტივური, ისე როგორც რთული ცნებების განაზრება (cogitatio) უმრავლეს შემთხვევაში არ არის სხვაგვარი, თუ არა სიმბოლიური.

აქედან უკვე ჩანს, რომ იმ საგნების იდეებსაც კი, რომლებსაც გარკვეულად შევიცნობთ, ჩვენ არ წარმოვიდგენთ, თუ არა იმდენად, რამდენადაც ინტუიტივური აზროვნებით ვსარგებლობთ. მოხდება ხოლმე, რომ ჩვენ ხშირად შეცდომით დარწმუნებული ვართ, რომ გვაქვს გონებაში (animo) საგანთა იდეები, რადგანაც შეცდომით ვგულისხმობთ, რომ ჩვენ მიერ უკვე ახსნილია ზოგიერთი ტერმინები, რომლებითაც ვსარგებლობთ: და არ არის ქეშმარიტი და ორაზროვნობის

(ambiguitas) შემცველია ის, რასაც ზრგიერთები ამბობენ, თითქო ჩვენ არ შეგვეძლოს რომელიმე საგნის შესახებ თქმა (თუ კი გვესმის, რასაც ვლაპარაკობთ), რომ ჩვენ არ გვაქვს ამ საგნის იდეა. რაც უნდა კარგად გვესმოდეს ჩვენ ცალ-ცალკე სიტყვები და გვახსოვდეს, რომ ჩვენ ისინი უწინ გვესმოდა, ხშირად მაინც იმის გამო, რომ ჩვენ დაგვმაყოფილებულვართ ამ ბრმა აზროვნებით და ცნებათა დაშლა საკმაოდ ღრმად არ გვიწარმოვბია, ხდება ისე, რომ ჩვენ შეუნიშნავი გვრჩება წინააღმდეგობა, რომელიც ძალიან რთულს ცნებაშია დამალული. რათა ეს საკითხი უფრო გარკვეულად განმეხილა, ამის მიზეზად ოდესღაც შეიქნა სკოლასტიკოსებს შორის ძველად სახელგანთქმული და დეკარტის მიერ განახლებული საბუთი ღმერთის არსებობის სასარგებლოდ. ეს საბუთი ასეთია: რაც რომელიმე საგნის იდეისაგან ან განსაზღვრებისაგან გამომდინარეობს, ის შეიძლება საგნის შესახებ პრედიკატად იქნეს გამოყენებული. არსებობა გამომდინარეობს ღმერთის (ე. ი. უუსრულესი არსების ან ისეთის, რომელზედაც უდიდესი ვერ განიაზრება) იდეისაგან (უუსრულესი არსება შეიცავს ყოველგვარ სისრულეს, რომელთა შორის არის აგრეთვე არსებობა). მაშასადამე, ღმერთს შეიძლება პრედიკატად მიეწეროს (predicari) არსებობა¹. უნდა ჭეშმარიტად ვიცოდეთ, რომ ზემომოყვანილით მხოლოდ შემდეგი მყარდება: თუ ღმერთი არის შესაძლებელი, აქედან გამომდინარეობს, რომ ის არსებობს; ვინაიდან ჩვენ არ შეგვიძლია დასკვნების გამოსაყვანად უშიშრად ვისარგებლოთ განსაზღვრებით, სანამ არ ვიცით, რომ ესენი რეალური არიან და არავითარ წინააღმდეგობას არ შეიცავენ. ამის საბუთია ის, რომ წინააღმდეგობების შემცველი ცნებებისაგან შესაძლებელია ერთსა

¹ დედანში ასეა: *Existentia potest de Deo predicari*, რაც სიტყვა-სიტყვით ნიშნავს: არსებობა შეიძლება ღმერთის შესახებ გამოითქვას (მთარგმნ. შენ.).

და იმავე დროს მოწინააღმდეგე დებულებები იქნეს გამოყვანილი, რაც შეუსაბამობაა (absurdum). ამის განსამართლავად მე ჩვეულებრივ ვსარგებლობ უუჩქარესი მოძრაობის მაგალითით. უუჩქარესი მოძრაობა შეუსაბამობას შეიცავს. მართლაც დავუშვათ, რომ რომელიმე ბორბალი ტრიალობს უუჩქარესი მოძრაობით. ვინ არ ხედავს, რომ რომელიმე რადიუსი (ბორბლის ჩხირი), ბორბლის გარეთ გაგრძელებული, თავისი უკიდურესი წერტილით უფრო ჩქარად იმოძრაავს, ვიდრე ლურსმანი ბორბლის პერიფერიაზე: მაშასადამე, ამ უკანასკნელის მოძრაობა, წინააღმდეგ ჩვენი დაშვებისა, არ ყოფილა უუჩქარესი. ამასობაში პირველი შეხედვით შეიძლება და მოგგჩვენებოდეს, თითქო ჩვენ გვეჩინდეს უუჩქარესი მოძრაობის იდეა: ჩვენ ხომ გვესმის ყოველ შემთხვევაში, რასაც ვაჩვენებთ. მაგრამ შეუძლებელ საგანთა შესახებ ყოველ შემთხვევაში ჩვენ არ გვაქვს არავითარი იდეა. ამის და მსგავსად, ის, რომ ჩვენ ვაზროვნობთ უუსრულებელ არსებაზე, არ ვმარა იმისათვის, რათა დავრწმუნდეთ, რომ ჩვენ გვაქვს მისი იდეა, და ზემოთ მოყვანილს დამტკიცებაში უუსრულებელი არსების შესაძლებლობა უნდა იქნეს ან ჩვენებული, ან დაშვებული, რათა ჩვენ დასკვნა სწორედ გამოვიყვანოთ. მართალია, არაფერია იმაზე უფრო კვამარიტი, რომ ჩვენც გვაქვს ღმერთის იდეა და რომ უუსრულებელი არსება არის შესაძლებელი და კიდევ მეტი— აუცილებელიც: მაგრამ დამტკიცება მაინც არ არის საკმაოდ წესიერად წარმოებული და უკვე აქვინელის მიერ იქნა ის უკუგდებული.

და ამნაირად ჩვენ გვაქვს განსხვავება სიტყვიერ განსაზღვრებათა (definitiones nominales), რომელნიც შეიცავენ საგნის მხოლოდ სხვებისაგან გასარჩევად საჭირო ნიშნებს, და რეალურ (reales) განსაზღვრებათა შორის, რომლებიც ამყარებენ, რომ საგანი არის შესაძლებელი. ეს მოსაზრება საკმარისია ჰობბსისათვისაც, რომელსაც სურდა კვამარიტებანი თვითნებური ყოველიყვნენ იმ

საფუძველით, რომ ისინი სიტყვიერ განსაზღვრებათაგან არიან დამოკიდებული: ამასობაში კი ჰობბსმა ვერ შენიშნა, რომ განსაზღვრებათა რეალობა თვითნებური არ არის და არა ყოველი ცნებების ერთმანეთთან შეერთება არის შესაძლებელი. და სიტყვიერი განსაზღვრებანი არ არიან საკმარისი სრული ცოდნისათვის (*perfecta scientia*), თუ არა მაშინ, როდესაც სხვა წყაროდან დამყარებულია, რომ განსაზღვრული საგანი შესაძლებელია. აგრეთვე ნათელია, რა ყოფილა ჭეშმარიტი იდეა და რა ყოფილა მცდარი იდეა: როდესაც ცნება შესაძლებელია, ის ჭეშმარიტია, როდესაც ცნება წინააღმდეგობას შეიცავს, ის მცდარია. საგნის შესაძლებლობას კი ჩვენ შევიცნობთ ან *a priori*, ან *a posteriori*. *A priori* შევიცნობთ მაშინ, როდესაც ცნება ჩვენ დავშალებთ მის შემადგენელ ნაწილებზე (*requisita*) ან სხვა ცნებებზე, რომელთა შესაძლებლობა ცნობილია და ვიცით, რომ მათში შეუთავსებელი არაფერი არ არის. სხვა შემთხვევათა შორის ეს ხდება მაშინაც, როდესაც ჩვენ გვესმის (*intelligimus*), თუ როგორ შეუძლია საგანს წარმოშობილ იქნეს; აქ სხვა განსაზღვრებათა უფრო გამოსაყენებელია მიზეზობრივი განსაზღვრებანი (*definitiones causales*). *A posteriori* საგნის შესაძლებლობას შევიცნობთ, როდესაც განვიცდით, რომ საგანი ნამდვილად (*actu*) არსებობს: რაც ნამდვილად არსებობს, ის ყოველ შემთხვევაში ხომ შესაძლებელია. და ყოველთვის, როდესაც გვაქვს შესატყვისი ცოდნა, გვაქვს შესაძლებლობის ცოდნაც *a priori*, ვინაიდან, როდესაც ანალიზი ბოლომდის არის მიყვანილი და არავითარი წინააღმდეგობა არ ჩანს, ცნება ყოველ შემთხვევაში შესაძლებელია. ეხლა კი მე ვერ ვბედავ ისიც განვსაზღვრო, შეუძლიათ თუ არა ადამიანებს ოდესმე ცნებათა სრული ანალიზი; თუ მათ შეუძლიათ თავისი აზრები მიიყვანონ იქამდის, სადაც არის პირველი შესაძლებლობები, დაუშლელი ცნებები ან (რაც იგივეა) ღმერთის აბსოლუტური ატრიბუტები,

სახელდობრ — პირველი მიზეზები და საგანთა უკანასკნელი საბუთი. უმრავლეს შემთხვევაში ჩვენ ვკმაყოფილდებით იმით, რომ ცდის საშუალებით ვისწავლეთ. სინამდვილე რომელიმე ცნებების, რომელთაგანაც შემდეგ შევადგენთ ხოლმე სხვა ცნებებს ბუნების მაგალითისამებრ.

მე ვფიქრობ, შეიძლება აქ დაბოლოს გაგებულ იქნას, რომ არა ყოველთვის სანდოდ მიმართავენ იდეებს და ბევრი ბოროტად იყენებს ამ მშვენიერ სახელს, რათა თავისი ფანტაზიები განამტკიცოს. ჩვენ ხომ არ გვაქვს იდეა ყოველს საგანზე, რომლის შესახებაც კი ჩვენ ვფიქრობთ, რომ გვაქვს იდეა; ეს გარემოება მე ზევით აღვნიშნე უდიდესი სიჩქარის მაგალითის საშუალებით. კიდევ ვფიქრობ, რომ ჩვენი ღრვის მეცნიერები არა. ნაკლებ ბოროტად იყენებენ ამ გაცვეთილ დებულებას: რასაც ნათლად და გარკვეულად შევიცნობ რომელიმე საგნის შესახებ, ის არის ჭეშმარიტი ან ამ საგნის შესახებ წარმოსათქმელი. ვინაიდან ხშირად ადამიანებს, რომლებიც ძალიან გაბედულად (*temere*) მსჯელობენ, ნათლად ეჩვენებათ ის, რაც ბნელი და ბუნდოვანია. მაშასადამე, ეს დებულება უსარგებლოა, თუ არ არის დამატებით მოცემული ნათელისა და გარკვეულის კრიტერიუმები, რომლებიც აღვნიშნეთ, და თუ არ არის დამყარებული თანხმობა იდეათა ჭეშმარიტების შესახებ. გარდა ამისა წინადადებათა (*enuatiationum*) ჭეშმარიტების არაუმნიშვნელო კრიტერიუმებია ზოგადი ლოგიკის წესები, რომლებითაც გეომეტრებიც სარგებლობენ: მაგალითად, არ შეიძლება რაიმე ჭეშმარიტებად იქნეს ცნობილი, თუ ის არ არის ცხადად ქცეული ბეჯითი ცდისა და ურყევი დამტკიცების საშუალებით; ურყევა კი ის დამტკიცება, რომელიც ლოგიკის მიერ ნაკარნახევ ფორმას არ დალატობს, — არა ისე, თითქო ყოველთვის საჭირო იყოს დამტკიცების წარმოება სკოლებში დაწესებული სილოგიზმების სახით (როგორც ქრისტიანე ჰერლინუსმა და კონრადე დასიპოდიუს-

მა დაალაგეს ევკლიდეს ექვსი პირველი წიგნი), არამედ ყოველ შემთხვევაში ისე, რომ არგუმენტაცია დაასკენი-დეს ფორმის ძალით: შეიძლებოდა იმის თქმა, რომ ასე-თი სავალდებულო ფორმით წარმოებული არგუმენტაციის მაგალითია უკვე წესისაშებრ შედგენილი რომელიმე ან-გარიში. ასე რომ რომელიმე აუცილებელი წინშვებული (praemissa) არ უნდა იქნეს გამოტოვებული, და ყველა-ფერი, რაც წინ დაშვებული იყო, უნდა ან დამტკიცე-ბულ იქნეს, ან ყოველ შემთხვევაში მიღებულ იქნეს რო-გორც ჰიპოთეზა: უკანასკნელ შემთხვევაში დასკვნაც ჰიპოთეტური იქნება. ვინც ამას ბეჯითად დაიცავს, ის ადვილად აარიდებს თავს შემაცდენელ იდეებს. საკმაოდ ეთანხმება ამას თავის გამოკვლევაში გეომეტრიული ნიჭის შესახებ (ამ გამოკვლევის ნაწყვეტები მოყვანილია სა-ხელგანთქმული ანტონ არნოს მშვენიერ წიგნში აზროვ-ნების ხელოვნების შესახებ) ჟუნიჰიერიე ი პასკალი, რომელიც ამბობს, რომ გეომეტრიის საგმა განსაზღვროს ყველა ოდნავ ბნელი ტერმინები და დაამტკიცოს ყველა ოდნავ საექვო ჭეშმარიტებანი. მაგრამ მე მსურდა, რომ მას განესაზღვრა ფარგლებიც, რომელთა იქით რომელი-მე ცნება ან გამოთქმა ოდნავადაც არ არის უფრო ბნე-ლი ან უფრო საექვო. მაგრამ მაინც ის, რაც საჭიროა, შეიძლება აღმოჩენილ იქნეს იმის ბეჯითი განხილვიდან, რაც აქ ვთქვით; ეხლა კი ჩვენ ვეწადით სიმოკლეს.

რაც შეეხება იმ საკამათო საკითხს, ღმერთში ვჭვრეტთ ჩვენ ყველაფერს (რაც ყოველ შემთხვევაში არის ძველი შეხედულება და, თუ ის სალი აზრით იქნა გაგებული, სრულიადაც არა ცუდი), თუ ჩვენ გვაქვს საკუთარი იდე-ები, საჭიროა ვიცოდეთ, რომ, კიდევაც რომ ღმერთში ვჭვრეტდეთ ჩვენ ყველაფერს, მაინც აუცილებელია, რომ ჩვენ გვაქვს საკუთარი იდეებიც, არა როგორც ტიკინის მგავსი რალაც სახეები (icunculas), არამედ როგორც ჩვენი გონების (mentis) განცდები (affectiones) და სახეცვლილებები (modificationes), რომლებიც შეესატ-

ყვისებიან იმას, რაც ჩვენ ღმერთში შევნიშნეთ: ყოველ შემთხვევაში, როდესაც აზრები სცვლიან ერთმანეთს, რაღაც ცვლილება ხდება ხომ ჩვენს გონებაში. იმ საგანთა იდეები, რომლებიც ჩვენ მიერ აქტუალურად განაზრებული არ არიან, იმყოფებიან ჩვენს გონებაში ისე, როგორც ჰერაკლეს ფიგურა იმყოფება დაუმუშავებელი მარმარილოს ნატეხში. ღმერთში კი აუცილებელია აქტუალურად იმყოფებოდეს არა მხოლოდ აბსოლუტური და უსაზღვრო სივრცის (extensionis) იდეა, არამედ ყოველი საგნის ფიგურაც, რომელიც ¹ სხვა არაფერია, თუ არა აბსოლუტურ სივრცის მოდიფიკაცია. გარდა ამისა, როდესაც ჩვენ განვიცდით (percipimus) ფერებს ან გემოებს, ჩვენ სხვა არაფერი გვაქვს ყოველ შემთხვევაში, თუ არა ფიგურებისა და მოძრაობის პერცეპციები, მაგრამ იმდენად დახლართული (multiplicium) და იმდენად მცირე ფიგურებისა და მოძრაობების, რომ ჩვენს გონებას (mens), თავის აწინდელს მდგომარეობაში, არ ყოფნის ძალა იმისათვის, რათა შეამჩნიოს თითოეული ფიგურა და მოძრაობა ცალცალკე, და ამიტომაც მას არ შეუძლია შენიშნოს, რომ მისი განცდა (perceptio) შედგენილია მხოლოდ ძალიან მცირე ფიგურებისა და მოძრაობების განცდებისაგან; ამის მსგავსად, როდესაც ჩვენ ყვითელი და ცისფერი მტვრის ნამცეცების ნარევისაგან ვიღებთ ყვითელი ფერის განცდას (percipiendo), ჩვენ სხვას არაფერს შევიგრძნობთ (sentimus), თუ არა ძალიან წვრილად შერეულს ყვითელსა და ცისფერს; მაგრამ, ცხადია, ჩვენ არ ვამჩნევთ ამას ² და უმალ ვქაჩვით ჩვენთვის წარმოდგენაში (fingentes) - რაღაც ახალს არსებას ³.

¹ ე. ი. ფიგურა (მთარგმნ. შენიშვნა).

² გ. ი. არ ვამჩნევთ იმას, რომ ჩვენ შევიგრძნობთ ყვითელსა და ცისფერს ნამცეცებს (მთარგმნ. შენიშვნა).

³ გ. ი. ყვითელს ფერს (მთარგმნელის შენიშვნა).

პ/შგ. გამომშვებისათვის ა. ძუთელია

ტექნოდაქტორი ვ. ბოლქვაძე
კორექტორი ტ. სანოკიძე

მთავლიტი № 2350

ტირაჟი 1000

გამ. შეკვ. № 131

სტ. შეკვ. № 475

ანაწ. ზ. 5×9

ქალ. ზ. 84×90

გად. წარმ. 23/V-39

ხელმ. დასაბ. 4/V-39

სტამბის ფორმ. რაოდ. 2¹/₃

სტალინის სახელობის თბ. სახ. უნივერს. სტამბა, მარის ქ. № 1.

ЛЕЙБНИЦ

МОНАДОЛОГИЯ

Изд-во Тбил. Гос. Университета им. Сталина

